ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გააგრძელებს თუ არა კრიზისში მყოფი რუსეთი აფხაზეთის დაფინანსებას?

გვ.5



ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი – კვირა, 20 – 21 ივნისი, 2015 №142 (6762) ფასი: 30 თეთრი

# რა საფრთხე ემუქრება თბილისის მეტროს



„სააკაშვილის ხელისუფლებამ მეტროს შეკეთება გადაწყვიტა. ერთი მეტროსადგურის შეკეთება მილიონობით ლარი ჯდება. ესენი ამ თანხების დახარჯვას მოერიდნენ და მეტროსადგურები იაფი საშუალებებით შეაკეთეს კაპიტალურად. „ავლაბარი", „გოცირიძე", „მარჯანიშვილი", „ახმეტელის თეატრი" მოპირკეთებულია პლასტიკატით, რაც დაუშვებელია და ამან შესაძლოა ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლოს"



გვ.2

## სასამართლომ კაბელების საქმეზე დაკავებული 5 პირი პატიმრობიდან გაათავისუფლა

გვ.7

5 დეპუტატის პირადი თავდებობის საფუძველზე




გვ.7

ზურაბ აბაშიძე: „სასამართლოს პროკურატურის უზურპაციის ქვეშ ყოფნა დასრულდა"

## ვახტანგ მაისაია: „კრიზისული სიტუაციების მართვის საბჭო არის ფუტლიარი"

გვ.3




იმ დღეს მეც ძლივს გამოვასწარი ღვარცოფს. ჩემი მეუღლე მომყავდა და იმ წუთებში გამოვიარე გმირთა მოედანზე. იმ დროს ბორბლები უკვე წყლით იფარებოდა. დავაფიქსირე, რომ ერთ-ერთ გვირაბთან პატარა ავარიაც კი მოხდა.

გვ.6



ალექსანდრე თვალჭრელიძე: „გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, სტიქიის შედეგები ასეთი დიდი არ იქნებოდა"



## მამუკა გიორგაძე: „ადამიანურად ქართველები მაგრები ვართ, მაგრამ სახელმწიფოს ვერ ვაშენებთ"

გვ.4

რა დაგვანახა 13-14 ივნისის სტიქიამ

ISSN 1987-9385

# რა საფრთხე ემუქრება თბილისის მეტროს

შორენა მარსაგიშვილი

**რა ნაღმები დატოვა სააკაშვილის ხელისუფლებამ, რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას მეტროში, რა მასალით არის მოპირკეთებული სადგურები, რა ხდება გვირაბებში? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**



***— სოციალური ქსელით აქტიურად ვრცელდება თქვენ მიერ გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მეტრო შეიძლება აფეთქდეს. რის საფუძველზე აკეთებდით ასეთ განცხადებას?***

— თბილისის მეტროში საკმაოდ მძიმე ვითარებაა. მოსალოდნელ საშიშროებაზე არაერთხელ ვისაუბრე, მაგრამ არსად არ მითქვამს, რომ მეტრო შესაძლოა აფეთქდეს. ხანძარი კი შესაძლოა გაჩნდეს. წარმოდგენაც კი არ მინდა, რა შედეგებით დასრულდება ასეთი რამე.

მეტროსთან დაკავშირებით განცხადება დაახლოებით ერთი წლის წინ გავაკეთე. მაშინ ამ თემას ასეთი გამოხმაურება არ ჰქონია. სამაგიეროდ, ახლა ამოსწიეს ეს თემა და სოციალური ქსელებით აქტიურად ატრიალებენ. ეს არის გამიზნული პროვოკაცია.

***— რა პროვოკაციაზე საუბრობთ, თქვენ ხომ გააკეთეთ ასეთი განცხადება?***

— მარტო განცხადება კი არ გავაკეთე მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასაც შევხვდი. რაც შეეხება პროვოკაციას, ამის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. ისინი ატრიალებენ ამ თემას და ამით რაღაცის მიღწევას ცდილობენ.

***— მაინც რის მიღწევას?***

— 13 ივნისს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შედეგად სამანქანე გზები დაზიანდა. ის დღეები მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტროთი დადიოდა. ახლაც მეტროთი მგზავრობს თბილისელების უმეტესობა. ნაციონალურ მოძრაობას ერთი სული აქვს, ხალხი მთავრობის მიმართ უარყოფითად განაწყოს. სურთ პანიკის დათესვა. ამ მიზნის მისაღწევად ჩემი განცხადება შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა. შეშინებული მოსახლეობა მირეკავს და მეკითხება, რა ხდება მეტროში.

***— ჩვენც გვითხარით, რა ხდება მეტროში? რა საფრთხეები შეიძლება შეექმნას მოქალაქეებს?***

— სააკაშვილის ხელისუფლებამ მეტროს შეკეთება გადაწყვიტა. ერთი მეტროს სადგურის შეკეთება მილიონობით ლარი ჯდება. ესენი ამ თანხების დახარჯვას მოერიდნენ და მეტროსადგურები იაფი საშუალებებით შეაკეთეს კაპიტალურად. „ავლაბარი“, „გოცირიძე“, „მარჯანიშვილი“, „ახმეტელის თეატრი“ მოპირკეთებულია პლასტიკატით, რაც დაუშვებელია და ამან შესაძლოა ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლოს.

***— რატომ არის დაუშვებელი მეტროსადგურების პლასტიკატით მოპირკეთება?***

— მეტრო, გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტია, გახლავთ საევაკუაციო ქსელიც. მოსაცდელი ბაქნების პლასტიკატით მოპირკეთება არ შეიძლება. ეს გახლავთ ადვილად აალებადი ნივთიერება. ასეთი ნივთიერებით მეტროს მოპირკეთება კანონის უხეში დარღვევაა.

არსებობს საქართველოს შს მინისტრის ბრძანება №449 საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, რომლის მეოთხე პუნქტშიც ვკითხულობთ: „საევაკუაციო გზების (დერეფნები, კიბის უჯრედები, ვესტიბიულები, ჰოლები და ა.შ.), კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მიწისქვეშა სათავსებსა და სადგურების ვესტიბიულებში რეკლამის მოწყობისას დასაშვებია მხოლოდ უწვი მასალის გამოყენება.

ვერავინ მაჩვენებს დასკვნას, სადაც ეწერება, რომ პლასტიკატი არ იწვის. არავითარი გარანტია არ არის, რომ მოკლე ჩართვის შემთხვევაში მთელი სადგური ცეცხლის ალში არ გაეხვევა. მეტროსადგურებში რამდენიმე მცირე ზომის ხანძარი უკვე გაჩნდა.

***— როდის მოხდა ეს?***

— წინა წლებში. საბედნიეროდ ეს იყო მცირე ზომის ხანძრები და არავინ დაშავებულა. მხოლოდ მეტრომ შეწყვიტა რამდენიმე საათით მუშაობა. დიდი ხანძრის წარმოდგენაც კი არ მინდა. კვამლმა შესაძლოა უამრავი ადამიანი დააზარალოს.

ამ ინციდენტების შემდეგ გადავწყვიტე კარგად შემესწავლა ეს საკითხი. როგორც გავარკვიეთ, რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტს ხელი არავინ მოაწერა.

***— რატომ არ მოაწერეს ხელი?***

— არავის არ სურდა საკუთარ თავზე დანაშაულის აღება. ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს. მათი ინფორმაციით, 2010 წლის მერე საერთოდ არ შემოწმებულა, რა მდგომარეობაა მეტროში. არ ვიცით, რა მდგომარეობაშია გვირაბები. არსებულ საფრთხეებზე ჩვენ მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასაც ვესაუბრეთ.

***— მათ დაადასტურეს, რომ მეტროში სავალალო მდგომარეობაა?***

— სავალალო მდგომარეობააო არ უთქვამთ, მაგრამ დაგვეთანხმნენ იმაში, რომ არ შეიძლება მეტრო აალებადი მასალით იყო მოპირკეთებული. როცა ეს სკანდალური ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ, მეტროს ხელმძღვანელობა გამოგვეხმაურა და საპირისპიროს მტკიცება დაიწყო. მაგალითისთვის წარმოგვიდგინეს დიდუბის მეტროსადგურის ვესტიბიული. არადა, აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რა ტიპის მასალით იქნება იქაურობა მოპირკეთებული. ეს სადგური ღია ტიპის გახლავთ.

***— ძველებმა დანაშაული ჩაიდინეს, მეტროსადგურები რომ აალებადი მასალით მოაპირკეთეს, მაგრამ ახალი ხელისუფლება რას აკეთებს?***

— როგორც უკვე გითხარით, თითო სადგურის რეაბილიტაციას მილიონობით ლარი ესაჭიროება. ახალმა ხელისუფლებამ ნელ-ნელა დაიწყო ამის გაკეთება, მაგრამ ეს ძვირი სიამოვნებაა.

***— თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას, ალბათ კარგა ხანს ვერ დაიწყება სადგურების საფუძვლიანი რეაბილიტაცია.***

— რეაბილიტაცია ალბათ გაჭიანურდება, მაგრამ ერთი რამე დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. ამას დიდი თანხები არ სჭირდება. იმ სამსახურებმა, ვისაც მეტრო აბარია, სასწრაფოდ უნდა გაათავისუფლონ სადგურები პლასტიკატის მასალისგან. ვიცი, რომ ამ მასალით ის დაზიანებები იმალება, რაც სადგურებშია, მაგრამ ჯობია ვესტიბიული იყოს ცუდი შესახედი, ვიდრე მოსახლეობა ჩავაგდოთ საფრთხეში. რაღაცა უბედურება რომ მოხდეს, მერე ყველაფერი დაბრალდება ამ ხელისუფლებას.

არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის ჩრდილოეთ კორეაშიც კი, არ არის მეტრო აალებადი მასალით



მოპირკეთებული. ყველგან გამოყენებულია ქვა და სხვა უწვი მასალა. კომუნისტებს აქაც უწვი მასალით ჰქონდათ სადგურები მოპირკეთებული. ის ძვირადღირებული მასალა სადღაც წაიღეს და მის ნაცვლად პლასტიკატი გამოიყენეს.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ გვირაბებიც მძიმე მდგომარეობაშია. იქ რაღა ხდება?***

— როგორც უკვე აღვნიშნე, 2010 წლის შემდეგ არანაირი შემოწმება არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე ზუსტად არავინ იცის, რა მდგომარეობაშია გვირაბები, სად რამდენი წყალი ჩადის და ა.შ. მეტროპოლიტენს თავისი შიდასამსახური, ცხადია, ჰყავს, მაგრამ მათ დამოუკიდებელი სტრუქტურა არ ამოწმებს.

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი გიორგი ნიკოლაიშვილი რამდენიმე საგანგაშო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. მას უტყუარი ინფორმაცია მეტროპოლიტენის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიაწოდა. „140-ე საიდუმლო ობიექტის“ შესახებ რამე გსმენიათ? ეს სპეცდანიშნულების ობიექტი გაუმაგრებელი გვირაბია, რომლის ნაწილი ყოფილი პიონერთა სასახლის ქვეშ გადის. იცით, „რუსთაველი 2“ ხაზის არსებობის შესახებ? ეს „რუსთაველი 2 – ვარკეთილის“ 600-მეტრიანი გვირაბია, რომელიც ასევე გაუმაგრებელია.

თაბუკაშვილის ქუჩა, რომელიც ოპერის უკან მდებარეობს, შესაძლოა, საერთოდ მიწის ქვეშ ჩავარდეს, რადგან გაუმაგრებელი გვირაბი მიწის ზედაპირიდან 40 მეტრზეა. იცით, რა მდგომარეობაშია მეტროსადგურ „ახმეტელთან“ სამოქალაქო თავდაცვის ობიექტი ან რა ხდება ნავთლუღში?! საბურთალოს ხაზის გაჭრა რომ უნდათ, ეგ გვირაბი უკვე არსებობს და ისიც გაუმაგრებელია, ასე რომ, შესაძლოა, ვაჟა-ფშაველას გამზირის ნაწილიც მიწაში ჩავარდეს. 6-ბალიან სეისმურ ზონაში ვიმყოფებით და გამორიცხული არაა, რამდენიმე ძლიერ რყევას დედაქალაქში მსხვერპლი მოჰყვეს. არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია წყალსაქაჩი ტუმბები, სპეცსადენები.

სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გაუმაგრებელი მეტროსადგურების კონსერვაცია, რასაც თავისი წესი და რიგი აქვს და საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ვიცი, რომ ხელისუფლებას ახლა ამის ფული არა აქვს, მაგრამ ეს საქმე უნდა გაკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ტრაგედიის მომსწრენი გავხდეთ. სასწრაფოთ უნდა მოგვარდეს მომწამვლელი ნივთიერებების საკითხიც.

***— რა მომწამვლელ ნივთიერებაზეა საუბარი?***

— რამდენიმე მეტროს გვირაბში, მაგალითად, „წერეთელზე“ აკრულია მასალა, რომლის აალების შემთხვევაში უამრავი მომწამლავი ნივთიერება გამოიყოფა. შესაბამისად, ხანძრის დროს, ცეცხლს რომ გადაურჩეს, ხალხი კვამლში დაიხრჩობა და გვირაბიდან ამოსვლას ვერ მოასწრებს. მერე ეს ყველაფერი დაბრალდება ამ ხელისუფლებას. ნაციონალები იტყვიან, თუ ასეთი სახიფათო იყო, რატომ არ გამოცვალესო.

აქ ერთ ფაქტზეც გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, 2012 წელს ეკონომიკის სამინისტრომ და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურმა მიიღეს კანონი „უსაფრთხო პროდუქტის შესახებ“, საიდანაც ამოღებულია მეტროპოლიტენის შემოწმების პუნქტი.

ახლა ეს უკვე პოლიციის, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის გასარკვევია. ამაში ჩართულნი არიან თბილისის მერია და ეკონომიკის სამინისტრო. ვასახელებ გვარებს: გიგი უგულავა, ტექნიკური და სამშენებლო სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე, მისი მოადგილე რამაზ ობოლაძე.

მივმართავ სათანადო ორგანოებს, გაარკვიონ, რა დაჯდა 2010 წელს მეტროსადგურების რეაბილიტაცია, რა მასალით მოპირკეთდა მეტროს გვირაბები, არის თუ არა ეს მასალა ადვილად აალებადი, რატომ არ ამოწმებს თბილისის მეტროს არც ერთი დამოუკიდებელი სტრუქტურა და რა ელის თბილისის ცენტრალურ უბნებს, რომლის ქვეშაც გაუმაგრებელი გვირაბები გადის.

***— თავის დროზე თქვენი ბრალდება უარყო თბილისის მერიამ. მათი განმარტებით, არ არსებობს არანაირი წინაპირობა, რომ რომელიმე სადგურს რაიმე ტიპის საფრთხე ემუქრებოდეს.***

— ეს დასკვნა გასულ წელს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ გამოაქვეყნა. ისინი აპელირებდნენ, რომ ამაზე დასკვნა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ დადო. მე მათ დასკვნებს არ ვენდობი. ისინი ნაციონალების დაკვეთას ასრულებდნენ. გასარკვევია, დასკვნა საერთოდ რაზე გასცეს და თუ მართლა არსებობს დოკუმენტი, ამის გამო პასუხი მათაც მოეთხოვებათ. დანამდვილებით ვიცი, რომ მეტროსადგურებში აალებადი მასალაა გამოყენებული.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიხედოს ამ საკითხს, წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთი უბედურების მომსწრენი გავხდებით. სააკაშვილმა და მისმა ნაციონალებმა უამრავი ნაღმი დაგვიტოვეს, ერთ-ერთი ნაღმი სწორედ მეტროპოლიტენია, რომელიც, წესით, ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი უნდა იყოს. ეს საქმე რომ სასწრაფოდ მისახედია, ამაში 13 ივნისს მომხდარმა ტრაგედიამაც დამარწმუნა.

***— 13 ივნისის ტრაგედია მეტროსთან რა შუაშია?***

— ტრაგედია გზის მშენებლობას მოჰყვა, რომელიც სააკაშვილის და უგულავას ახირება იყო. მაშინ მე ეკოლოგიური სამართლის ცენტრში ვმუშაობდი. ჩვენ ამ პროექტის წინააღმდეგ სასამართლოშიც კი შევიტანეთ სარჩელი. ვამბობდით, რომ ამ გზის მშენებლობას ტრაგედია მოჰყვებოდა. ჩვენი სარჩელი არ მიიღეს.

***— როდის შეიტანეთ სარჩელი?***

— 2009 წელს ჯერ თბილისის მერიაში, ხოლო შემდეგ სასამართლოშიც შევიტანეთ სარჩელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მიგვაჩნდა, რომ მერიის მიერ მხარდაჭერილი პროექტი ეწინააღმდეგებოდა თბილისის განვითარების გენერალურ გეგმას, რომელიც, თავის მხრივ, სარეკრეაციო ზონებში მშენებლობას კრძალავდა. უგულებელყოფილი იყო ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა — ქალაქის კონსტიტუცია, ასევე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 15 სექტემბერს გამოცემული №158-ე დადგენილება, სადაც მზიურის კეთილმოწყობისა და ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით იყო გადაწყვეტილება მიღებული.

მიუხედავად სამართლებრივი დავისა და პროტესტისა, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და ის სავალალო შედეგები, რომლებიც დღეს არსებობს, სწორედ მის კისერზეა. ჩვენ ჯერ კიდევ 2009 წელს ვვარაუდობდით მოვლენების ამგვარ განვითარებას, მაგრამ ყური არავინ დაგვიგდო. ახლა კი სურათი ამგვარია, რომ ფაქტიურად გადაყრილია ის 115 მილიონი ლარი, რომელიც ამ მშენებლობას მოხმარდა, დაღუპულია ათეულობით ადამიანი და დედაქალაქს მიადგა როგორც მატერიალური, ისე ეკოლოგიური ზიანი

კარგად მახსოვს ის სიტყვები რაც სააკაშვილმა თქვა ჩვენს პროტესტთან დაკავშირებით. „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ — ასე შეაფასა მაშინდელმა პრეზიდენტმა პროექტის მოწინააღმდეგეების აქციები. ახლა ამ თემაზე ბევრი საუბრობს, მაშინ ჩუმად იყვნენ. ტელევიზორი ვერ ჩამირთავს, ყველა ამ საქმის ექსპერტი გახდა, მათ შორის ლგბტ თემის წარმომადგენლებიც. უჩა ნანუაშვილიც კი ამაზე საუბრობს, მაგას ურჩევნია, საკუთარ ოფისს მიხედოს.

***— ნანუაშვილის ოფისში რაღა ხდება?***

— თავზე ენგრევა ოფისი, მეტი რა უნდა ხდებოდეს.

***— რატომ ენგრევა?***

— იმიტომ, რომ სააკაშვილის დროს არის ეგ შენობა აშენებული. იმ ბზარებს რომ უყურებს, მაშინ მაინც გააკეთოს სათანადო დასკვნები. გამოდის და გვმოძღვრავს, თურმე წარსულისკენ არ უნდა ვიყუროთ და ძველი დანაშაული არ გამოვიძიოთ. 13 ივნისის ტრაგედია 2015 წლის 13 ივნისს არ მომხდარა. ის 2009 წელს დაიწყო. ამაზე დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

***— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტიქიას ამ გზასთან საერთო არა აქვს და ის მეწყრის დამსახურებაა.***

— ყველა ასე უცბად როგორ გახდა ამ საქმის ექსპერტი. მეწყერი ჩამოწვა, მაგრამ მდინარე არტახებში რომ არ ყოფილიყო მოქცეული, ამხელა ტრაგედია არ მოხდებოდა. 20-მდე ადამიანია დაღუპული და ეს საქმე ასე ვერ დარჩება. რაც არ უნდა იყვირონ ვიღაცებმა, დამნაშავეები მაინც დაისჯებიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ მაისაია: „კრიზისული სიტუაციების მართვის საბჭო არის ფუტლიარი“

გულიკო ბალაძე

**როგორ გაართვა თავი თბილისში, ვერეს ხეობაში მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ უდიდეს გამოწვევას საქართველოს ხელისუფლებამ?**

„ახალი თაობა“ ესაუბრა ექსპერტს სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაიას, რომელსაც რამდენიმეთვიანი სწავლება აქვს გავლილი ამერიკის საგანგებო სიტუაციათა მართვის ცენტრში.

ვახტანგ მაისაიას განცხადებით, საქართველოში პროგნოზირებისა და თავდაცვის სისტემა მოშლილია, რაც ერთ-ერთი მიზეზია მომხდარი ტრაგედიისა. ამასთან შესაქმნელია კრიზისების მართვის ცენტრი, კრიზისების მართვის სამინისტრო და თავდაცვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კრიზისების ეფექტურ მართვას. თუ როგორი უნდა იყოს აწყობილი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის ცენტრი და სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, ამის თაობაზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

***– ბატონო ვახტანგ, საზოგადოებაში დღეს გარკვეული პირების მხრიდან ისმება კითხვები, რამდენად ორგანიზებული იყო ხელისუფლება მომხდარი კატასტროფის დროს? რამდენად შეეძლო ხელისუფლებას მომხდარი ტრაგიკული შედეგების თავიდან აცილება და რამდენად ეფექტურად მოქმედებდა?***

– ღრმა მწუხარებას გამოვხატავ დაღუპულთა ოჯახების მიმართ და მთელ საქართველოს ვუსამძიმრებ. აღვნიშნავ იმ თავდადებას, რომელიც განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ დიდი შემართებით იკისრა. მეც ვარ ამის უშუალო თვითმხილველი. ასევე მინდა დავაფასო ხელისუფლების ყველანაირი ძალისხმევა, რომელიც მათ გაწიეს ამ სტიქიის ლიკვიდაციისთვის. თუმცა, რჩება კითხვებიც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტიქიური მოვლენების პროგნოზირება რთული იყო. თუ ჩვენ თავიდანვე მოვემზადებოდით, მივიღებდით შესაბამის ზომებს, ეს ყველაფერი გვექნებოდა გათვალისწინებული, ასეთი სტიქიის პირობებშიც კი, ბუნებრივია, ასეთ დიდ მსხვერპლს თავიდან ავიცილებდით. სტიქია ძალიან მასშტაბურიც არ იყო, მაგრამ მიღებული შედეგი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინა ხელისუფლების პირობებში ესტაკადის მშენებლობა, რომელიც ყოველგვარი ეკოლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად ააშენეს, მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ვერეს ადიდება და დატბორვა ადრეც ხდებოდა. პირადად მე არაერთხელ შევესწარი, როგორ წალეკა მდინარე ვერემ 1986 თუ 1997 წლებში იქ არსებული ნაკვეთები.

ბებიაჩემის ძმას ვერეს ნაპირებთან ჰქონდა საბაღე ნაკვეთები. ერთ-ერთი წყალდიდობის დროს მდინარემ წალეკა ვენახები. ცნობილია, რომ უფრო დიდი მასშტაბით 1960 წელს მოხდა, მგონი, 1995 წელს, 1998 წელსაც იყო. როცა ცნობილი იყო, რომ ვერეს ხეობას ჰქონდა ადიდების ტენდენცია, რთული გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები, მაინც ააშენეს გზა ყოველგვარი პირობების გაუთვალისწინებლად. არ შეიძლებოდა იქ გვირაბების გათხრა, აფეთქებები და ქანების დაშლა. პირველი პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი ვარ გეოლოგიის მიმართულებით. ამიტომ ვიცი, რომ ამ ქანების თითოეულ აფეთქებას თან ახლავს რყევა და რეზონანსი. მეწყრული მდგომარეობის შექმნაც ამ კონტექსტში ჯდება.

იმ დღეს მეც ძლივს გამოვასწარი ღვარცოფს. ჩემი მეუღლე მომყავდა და იმ წუთებში გამოვიარე გმირთა მოედანზე. იმ დროს ბორბლები უკვე წყლით იფარებოდა. დავაფიქსირე, რომ ერთ-ერთ გვირაბთან პატარა ავარიაც კი მოხდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეორე მიზეზია თავდაცვის სისტემის მოშლა. როდესაც მართავ კრიზისულ სიტუაციას, ოთხი პრინციპი უნდა დაიცვა. პირველი არის პრევენცია. მეორე – უშუალოდ რეაგირება; მესამე – შედეგების ლიკვიდაცია; მეოთხე – ოპერატიული მართვა. ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, ასეთი სტიქიური უბედურებების რეაგირების სისტემა არ იყო აწყობილი.

საგანგებო სიტუაციების სამსახურს მინიჭებული აქვს საგანგებო სიტუაციების სამმართველოს სტატუსი და იყო შს სამინისტროს ერთ-ერთი რიგითი სამმართველო. არ იყო ერთიანი კრიზისული სიტუაციების მართვის ცენტრი. უსაფრთხოების სისტემა, რომელიც ახლა შეიქმნა, ფაქტობრივად, პოლიტიკური ბრძოლის შედეგი იყო. ეს არ შეესაბამებოდა კრიზისების რეალური მართვის შესაბამისი. მოხდა პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭოს კოპირება. ეს იყო პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი. პოლიტიკური კინკლაობის ნიმუში იყო და ამ კრიზისების მართვის საბჭოში, ფაქტობრივად, არაქმედითი იყო. უბრალოდ, უშიშროების საბჭოს კონკურენტს წარმოადგენდა კრიზისული სიტუაციების მართვაში.

კრიზისული სიტუაციების მართვის საბჭო არის ფუტლიარი, რომელსაც შიგთავსი არ აქვს შევსებული. ასე უშიშროების საბჭოს სისტემა აბსოლუტური ნულია. არ ვიცი, უშიშროების საბჭოს სისტემა, საერთოდ, რას საქმიანობს და რისთვის არის შექმნილი.

***– ანუ ჩვენ უნდა შევაფასოთ ორი სტრუქტურის საქმიანობა: ერთი – როგორ იმუშავა შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სამსახურმა და მეორე – პრემიერთან არსებული უსაფრთხოების საბჭო?***

– რასაკვირველია. სამწუხაროდ, პრევენცია გვქონდა აბსოლუტური ნულის დონეზე. განულდა წინა ხელისუფლების დროს, როდესაც მან გააუქმა სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტები, მეტეოროლოგიური სამსახურები გაანადგურეს. შესაბამისად არ იყო ჰიდროლოგიისა და გეოლოგიის სამსახურების ერთიანი ცენტრი. დღევანდელ უშიშროების საბჭოსთან უნდა იყოს შექმნილი სისტემა, რომელიც მოიცავდა პრევენციის, რეგულირების, ლიკვიდაციისა და ოპერატიულ მართვას. ამგვარი მართვის სისტემა მთლიანად მოშლილია.

***– პრეზიდენტთან უნდა იყოს თუ მთავრობასთან?***

– პრეზიდენტთან იქნება თუ მთავრობასთან, მნიშვნელობა არ აქვს. ასეთი მართვის სისტემა საერთოდ არ არსებობდა საქართველოში. ამან აჩვენა, რომ სისტემა საერთოდ არ არსებობდა. საგანგებო სამსახური თავდადებით მუშაობდა და დასაფასებელია ის პირადი გმირობები, რომელიც გამოიჩინეს, მაგრამ ეს სამსახური ტექნიკურად და პროფესიონალური კუთხით სათანადოდ არ იყო აღჭურვილი.

***– ანუ სისტემის კრიზისია?***

– ბუნებრივია, სისტემის კრიზისია. თორემ თვითონ სამსახურის წარმომადგენლებმა გმირობა გამოიჩინეს. ეროვნული მასშტაბის ტრაგედია მოხდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლების, მოხალისეების კონსოლიდირებული მოქმედება რომ არ ყოფილიყო, უფრო დიდი მსხვერპლი იქნებოდა. ადამიანების ძალისხმევის შედეგად ჩვენ თავიდან ავიცილეთ უფრო დიდი კატასტროფა. თუმცა, გამართული სისტემა არ არსებობდა.

***– გარკვეული კატეგორია ადამიანებისა ამბობს, რომ მთავრობას საათნახევარი ჰქონდა იმისათვის, რომ ხალხის ევაკუაცია მოეხდინა. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ?***

– მე გარკვეულწილად შევესწარი ამ მოვლენების წინაპირობას და ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი ღვარცოფის დაწყება. მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ნიაღვარი, რომელიც ხდებოდა ხოლმე თბილისში. ასეთი ნიაღვარი თბილისში მოხდა შარშანწინ, როდესაც წყლის დონემ აიწია და ნიაღვარი გზებზე მოდიოდა. ჩავთვალე, რომ დიდი წვიმა იყო, არც მივაქციე ყურადღება. ალბათ, ნახევარი საათით გამოვეცალე ღვარცოფს. ვინც ღვარცოფში მოხვდა, ის ცხადია, დაიღუპებოდა. მე 2-4 საათზე სოციალური ქსელებით გავიგე, რომ სიტუაცია იძაბებოდა. ყველა არხი ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობდა. ღამის 3 საათზე „რუსთავი-2“-მა დაიწყო გადმოცემა. ხუთის ნახევარზე საზოგადოებრივი ტელევიზია ჩაირთო. შემდეგ „იმედიც“ ჩაირთო, რომელიც კადრებს აჩვენებდა უკომენტაროდ. წარმოიდგინეთ, მოსახლეობაც არ იყო მზად. მოსახლეობის გაფრთხილება, პრევენცია მოიცავდა არა მარტო პრევენციული ზომების მიღებას, დავუშვათ იგივე მეტეოროლოგიური პროგნოზის გაკეთებას, ან ჰიდროლოგიური საფრთხეების დადგენას, საშიში მომენტების განსაზღვრას, მოსახლეობას სწორი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, რომ თუ რაიმე მნიშვნელოვანს შეამჩნევს, ეს არის სახიფათო ტენდენცია.

***– თუკი დაგვიანებით მივიდნენ მაშველები, გაირკვევა. როდის შევიდა 112-ში პირველი ზარები და როდის მივიდნენ მაშველები, ამის დადგენა ძნელი არ არის.***

– როდესაც მოხდება კატასტროფის შედეგების ლიკვიდაცია, მაშინ უნდა დაიწყოს გამოკვლევა, უნდა ჩატარდეს სრულმასშტაბიანი გამოძიება. საზოგადოებამ უნდა გაანალიზოს, რა მოხდა და მომავალში როგორ უნდა მოვემზადოთ. ამ კატასტროფამ აჩვენა, რომ ჩვენ ძალიან საშიშ პირობებში ვცხოვრობთ. ეს პირობები თვითონ ჩვენი შექმნილია. რაც მოხდა, იმაში სისტემური დანაშაულის ნიშნებია, რომელიც ედუარდ შევარდნაძის პერიოდიდან იღებს სათავეს.

თუ სახელისუფლებო სტრუქტურას არ ჰქონდა გათვლილი რისკები, თუნდაც 21-ე საუკუნისათვის საგანგებო სიტუაციების რეაგირების აწყობილი სისტემა, ეს მოქმედებს შედეგზე. პრემიერთან შეიქმნა უშიშროების საბჭოს ანალოგიური უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭო, მაგრამ რეალურად ფუტლიარი იყო.

***– მე მგონი, არც არავინ მოელოდა თუ მსგავსი დიდი კატასტროფა მოხდებოდა.***

– კრიზისების მართვის სამსახურის ფუნქცია არის ასეთი სიტუაციების პროგნოზირება და სწორი ანალიტიკური გათვლების დადება. რეალურად კი შესაბამისი სამსახურებიც არ არის შექმნილი, რაც სამწუხარო მომენტია. რამდენჯერმე გამოჩნდა, რომ ვერეში მეწყერსაშიში მდგომარეობა იქმნებოდა, მაგრამ გულუბრყვილო დამოკიდებულება იყო – იქნებ ამ ყველაფერმა ჩაიაროსო. ამგვარი გულუბრყვილო აზროვნებით წინ ვერ წავალთ. უნდა ყოფილიყო კრიზისების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა. ამერიკასა და რუსეთში კრიზისების მართვის სისტემა იდეალურადაა აწყობილი. მე ამერიკაში ვყოფილვარ.

***– თქვენ ამერიკაში კრიზისების მართვის სააგენტოში იყავით?***

– დიახ, 2001 წელს ვიყავი ამერიკაში კრიზისების მართვის ფედერალურ სააგენტოში. გამართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურებია. აღნიშნული სამსახურები გამართულად მუშაობენ ამერიკასა და რუსეთის ფედერაციაში. ევროპაშიც იგივე სისტემა მოქმედებს. მით უმეტეს, რომ ამერიკაც და რუსეთიც კრიზისების თვალსაზრისით საშიში ტენდენციების ქვეყნებია. ჩვენთან ეს სისტემა არ არსებობს. მეტეოროლოგიური სამსახურებიც კი გავაუქმეთ.

***– ანუ ხელისუფლებას მოუწევს წინა ხელისუფლებების დროს გაუქმებული სამსახურების აღდგენა.***

– რას მიკეთებენ უშიშროებისა და უსაფრთხოების საბჭოები. ამ სისტემამ გამოაჩინა სისტემური უსუსურობა. ფაქტობრივად, კრიზისების საბჭო ჩაერთო მესამე დონეზე, შედეგების ლიკვიდაციის დონეზე. არც პრევენცია განახორციელა, არც რეაგირება. ეს იმდენად არ არის დღევანდელი ხელისუფლების ბრალი, დღევანდელ ხელისუფლებას არ ეხება ეს ტრაგიკული სიტუაცია. შევარდნაძის დროს საერთოდ არ მიექცა ამას ყურადღება. მიხეილ სააკაშვილმა არა თუ გააკეთა რაიმე, არამედ პირიქით, კატასტროფის ხელშემწყობი ქმედებები განახორციელა – პრევენციის ორგანოები საერთოდ გააუქმა, რეაგირების საშუალებები კიდევ უფრო შემცირდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურების როლი და ამოცანები შესუსტდა.

***– ამ ხელისუფლებას მოუწევს ამ სტრუქტურების შექმნა ხელმეორედ.***



***სამეცნიერო ინსტიტუტების აღდგენა, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მას ეს.***

– ჩემი აზრით, საერთოდ უნდა გაუქმდეს უშიშროების საბჭოც და უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოც და შეიქმნას ერთიანი კრიზისების მართვის ცენტრი, რომელიც, ალბათ, უნდა გადავიდეს მთავრობის განკარგულებაში. ამასთან ყველა ვარიანტში აუცილებლად უნდა შეიქმნას საგანგებო სიტუაციების ცალკე სამინისტრო. აღნიშნული სამინისტრო უნდა იყოს ერთიანი კრიზისების მართვის ცენტრის კოორდინაციაში. თუ პარლამენტში შეიქმნება სპეციალიზებული კომიტეტი – საგანგებო სიტუაციების მართვის კომიტეტი, რომელიც მოამზადებს კონცეპტუალური და სამართლებრივი ნორმების პაკეტს, თუ როგორ უნდა მოხდეს საგანგებო სიტუაციების სისტემის აწყობა და მართვა. უშიშროების კომიტეტი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

***– ალბათ, ამ სამსახურს უნდა ხელმძღვანელობდეს ამ მიმართულებით სპეციალურად მომზადებული პიროვნება, რომელსაც ეცოდინება, საგანგებო სიტუაციებში როგორ უნდა იმოქმედოს. ისევე, როგორც, მაგალითად, თქვენ მოგამზადეს აშშ-ში. თქვენ რამდენ ხანს იმყოფებოდით ამერიკის კრიზისების მართვის სააგენტოში?***

– რამდენიმე თვის განმავლობაში მომიწია იქ ყოფნა. სპეციალური კურსი იყო – გენერლების, მაღალი რანგის სამხედროებისა და დიპლომატების კურსები იყო და იქ ვღებულობდი მონაწილეობას. ჩვენ დეტალურად გაგვაცნეს ამერიკაში ამ სტრუქტურების მუშაობის სიმწყობრე.

***– სახელმწიფომ გაგიშვათ?***

– დიახ. ამ შემთხვევაში მე ვიყავი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

***– სხვათა შორის, ამერიკაში 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა მხრივ კადრები მზადდებოდა, მაგალითად, 90-იან წლებში უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმებიც კი მომზადდა. თქვენც ამბობთ, რომ სახელმწიფომ რამდენიმე თვით გაგიშვათ ამერიკის კრიზისების მართვის ცენტრში. ეს სპეციალისტები არ არიან სათანადოდ გამოყენებული.***

– აბსოლუტურად გეთანხმებით. საერთოდ, კრიზისების მართვა და უშიშროების საკითხები უნდა იყო გაყოფილი. არ შეიძლება ამ ორი სფეროს ერთად ყოფნა. უშიშროების საკითხებზე ცალკე უნდა მუშაობდეს ჯგუფი, კრიზისების მართვის სქემებზე – ცალკე. თუმცა, შეიძლება ერთიანი სისტემისათვის მათი შერწყმაც მაღალ პოლიტიკურ დონეზე. ალბათ, უშიშროების საბჭო უნდა დარჩეს პრეზიდენტთან, ხოლო კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც უშუალოდ მოახდენს რეაგირებას სტიქიური ასიმეტრიული და სიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ, უნდა დარჩეს პრემიერთან. ასიმეტრიული საფრთხეებია კატასტროფები და ბუნებრივი კატაკლიზმები, პლუს ტერორიზმის საფრთხე, რომელიც აბსოლუტურად ცალკე სტრუქტურის სახით უნდა იყოს. უნდა იყოს 24-საათიანი სპეციალიზებული მართვის ცენტრი, რომელიც იქნება მოწყობილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული, სადაც მოხდება ინფორმაციების თავმოყრა. მოხდება ამ ინფორმაციების სწორი გაანალიზება. ის გააკონტროლებს სპეციალური სამსახურების საქმიანობას. აუცილებელია შეიქმნას ერთიანი საგანგებო სიტუაციების სამინისტრო. მასში შევა ყველა ის სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდება პრევენციის, ლიკვიდაციისა და ოპერაციული მართვის ელემენტები. აუცილებელია თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციაში შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის სამსახური. ეს სამსახური უნდა იყოს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს დაქვემდებარებული. ასევე თავდაცვის სამინისტროსთან შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის ელემენტი და თუნდაც ეროვნულ გვარდიას დაევალოს სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებაც. მათ შორის, იგივე პროპაგანდისტული და მოსახლეობის ინფორმირების ფუნქციებიც.

სამოქალაქო თავდაცვის სისტემის აღდგენა აუცილებელია. უნდა მოხდეს ბუნკერების, თავშესაფრებისა და სხვა თავდაცვის ობიექტების აღდგენა, რომ, როცა იქნება კრიზისული სიტუაცია, თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, სად მივიდეს და თავი სად შეაფაროს. სახელმწიფომ უნდა შექმნას სახელმწიფო მარაგების ერთიანი ქსელი და სტრატეგიული მარაგების სახელმწიფო სააგენტო, რომ კრიზისულ სიტუაციაში სურსათი, ყველაფერი უზრუნველყოფილი იყოს. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოახდინოს სურსათითა და მედიკამენტებით მომარაგება. არ უნდა უყურო იმას, მოსახლეობა როდის შეაგროვებს პირველადი მოხმარების ნივთებსა და სურსათს და როდის მოგაწვდის.

***– კრიზისების მართვის სამსახური უნდა დაეყრდნოს თუ არა, მაგალითად, ზოოპარკის დირექტორის განცხადებას, თქვათ, გაქცეულ გარეულ ცხოველებთან დაკავშირებით?***

– პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მე რომ ინფორმაციას ვიღებ, ერთი წყაროდან არ უნდა მივიღო. ინფორმაცია უნდა მივიღო სხვადასხვა წყაროებიდან, ოპერატიულად უნდა გადავამოწმო და მოვახდინო შესაბამისი რეაგირება. ზოოპარკის დირექტორი არ არის ის ფიგურა, რომელსაც შეიძლება კრიტიკულ სიტუაციაში დაეყრდნო. შეიძლება შს სამინისტროს ჰქონდა სხვა ინფორმაცია, თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა სხვა ინფორმაცია, საგანგებო სიტუაციების სამმართველოს შეიძლება ჰქონდა სხვა ინფორმაცია. შეიძლება 112-ის სამსახურს ჰქონდა სხვა ინფორმაცია. ამიტომ ინფორმაციები უნდა გადამოწმდეს სხვადასხვა წყაროსთან. ჩვენს ქვეყანას ღუპავს სტრატეგიული და ანალიტიკური აზროვნების უქონლობა. მე არასოდეს არ ვაკეთებ ანალიზს ერთ წყაროზე დაყრდნობით.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა გიორგაძე: „ადამიანურად ქართველები მაგრები ვართ, მაგრამ სახელმწიფოს ვერ ვაშენებთ“

## რა დაგვანახა 13-14 ივნისის სტიქიამ

შორენა კოწოწაშვილი



**ვისთან ცდება ბიძინა ივანიშვილი, რატომ არის მართალი ალასანია ივანიშვილთან, რა შეცდომებს უშვებს მთავრობა და რამ გამოკვეთა სახელმწიფოებრიობის პრობლემა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის" თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან.**

***– ბატონო მამუკა, 13-14 ივნისის სტიქიამ საზოგადოების კონსოლიდაცია მოახდინა, თუმცა პოლიტიკურ კინკლაობებს ვერ ავცდით. რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისას და, საერთოდ, რას იტყვით ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე?***

– პირველ რიგში, მინდა, დაღუპულთა ოჯახებს მივუსამძიმრო. დიდი ტრაგედია დატრიალდა. ღმერთმა გაანათლოს დაღუპულთა სულები; მეორე – კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ადამიანურად ქართველები კარგი ხალხი ვართ, შეგვიძლია, ერთმანეთი გვიყვარდეს, გაჭირვებაში გვერდით დავუდგეთ, გვაქვს დამოუკიდებელი ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა. გვაქვს ყოველგვარი პოტენციალი იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება უკეთესად მოვაწყოთ. და მესამე – სისტემური თვალსაზრისით სრული სახელმწიფოებრივი კრახი. ფაქტობრივად, ამ მთავრობამ ვერ იმუშავა. ვერ მოხერხდა, ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში დაგვენახა, რომ გვყავს მთავრობა, რომელსაც შეუძლია, აგვარიდოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს პრობლემები, რომლებიც ინდივიდუალურად არ შეგვიძლია მოვაგვაროთ.

***– თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა ხალხი კმაყოფილია, რომ მთელი მთავრობა აქტიურად ჩაერთო ვერეს ხეობაში მიმდინარე სამუშაოებში...***

– ის, რომ მთავრობის წევრები ადამიანურად პროცესებში მონაწილეობდნენ, თითოეულის ადამიანურ ბუნებაზე მეტყველებს, მაგრამ, როგორც მინისტრს, რა უნდა ან მანქანის მისაწოლად, ან ნიშნით ხელში?! მათ ის ფუნქცია უნდა შეასრულონ, რომელიც ხალხმა ჩააბარა. წინასწარ უნდა გაგვაფრთხილოს მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ. უნდა აირიდონ ეს ტრაგედია. კომუნისტების დროს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ზევით გათვალისწინებული იყო წყალშემკრების მშენებლობა. გათვალისწინებული იყო ხიმინჯებზე სავალი გზის მოწყობა; როგორ უნდა იყოს მშენებლობის ნორმები დაცული და ყველგან, სადაც ვინმეს მშენებლობა მოეხასიათება, ნებადართული არ უნდა იყოს. არ შეიძლება მდინარის ხეობაში სასაფლაო. რომელ სოფელში გინახავთ მსგავსი? რა გახდა დიალოგის გამართვა იმ საკითხებზე, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენს ქალაქს. რატომ გაჭირდა სპეციალისტების შეკრება, რომ დავსახოთ გეგმა. დღეს თუ არა, ხუთი წლის შემდეგ მაინც მოვაგვაროთ სიტუაცია. აი, ეს ერთობა არ არის ჩვენში, თორემ ადამიანური სოლიდარობა არის.

***– ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურა თავის პიარზე ფიქრობდა და არა – ქვეყნის ბედზე.***

– მართალია. ჩემს მეგობრებს ისრაელის სახელმწიფოში პირველივე დღეს გაუჩნდათ სურვილი, დახმარება გაეწიათ და გადმოერიცხათ ფულადი სახსრები, მაგრამ შემდეგ მითხრეს, იმდენი ანგარიში გამოქვეყნდა, ნუთუ არ შეიძლებოდა, სახელმწიფოს ერთი ანგარიში ჰქონოდაო. არ შეიძლებოდა, სახელმწიფოს უზრუნველეყო ჩვენი ერთობა, თუნდაც ამ მხრივ, რომ ვილაცვილაცებს ესეც პიარის საშუალებად არ გამოეყენებინათ?! საბოლოო ჯამში, ჩემმა მეგობრებმა გაიგეს დაზარალებულთა მისამართები და კერძოდ გადაურიცხეს მათ ფული, არ გვინდა, სხვისი პიარის მონაწილენი გავხდეთო.

იქნებ ეს მსხვერპლი სწორედ იმიტომაც დაუშვა უფალმა, რომ ამაზე დავფიქრებულიყავით. ქართველებო, შეგვძლებია ერთმანეთის სიყვარული, მაგრამ ვერ ვახერხებთ ორგანიზებულ ერთობას სახელმწიფოს ასაშენებლად. აი, ეს არის ტრაგედია. დავფიქრდეთ, როგორ გავუკეთოთ რეალიზება ჩვენს შესაძლებლობებს, რომ არ დაგვჭირდეს პოსტფაქტუმ შემდგომ უკვე ტრაგედიაზე მსჯელობა. დაგვანახოს ხელისუფლებამ, რომ ამ ტრაგედიიდან დასკვნები გამოიტანა.

***– ანუ მთავრობა მოუმზადებელი აღმოჩნდა სტიქიასთან გასამკლავებლად?***

– პრაქტიკულად მოუმზადებელი აღმოჩნდა. და კიდევ ერთი: სამწუხაროა, რომ ამ ტრაგედიის დღეებშიც ვერ მოვწყდით პოლიტიკურ კატაკლიზმებს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიმდებარედ განთავსებული, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის გიორგი ჭანტურიას ძეგლი, რომელიც ტერორისტული აქტის შედეგად იქნა მანქანაში ჩაცხრილული, აიღეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს. ძეგლის გადატანა უნდათ თუ საერთოდ გაქრობა, ამ ეტაპზე ინფორმაცია არ მაქვს. ხომ შეიძლება ამაზე ღია, ჯანსაღი დიალოგის გამართვა?! ხომ შეიძლება, უარი ვთქვათ, საბჭოურ, შევარდნაძე-სააკაშვილის მართვის სტილზე?!

***– ალასანიასა და ივანიშვილს შორის დაპირისპირებაზე რას იტყვით?***

– იგივე შემიძლია ვთქვა ალასანია-ივანიშვილის დაპირისპირებაზე. გააკეთებ ჰუმანურ ჟესტს და ამას სისუსტეში ჩაგითვლიან. გააკეთებ ცოტა მკაცრ ქმედებას, ამას ჩაგითვლიან დ[illegible] პოტიზმში. ღირებულებათა სისტე[illegible]ზე, შეფასებათა სკალაზე ვერ შევთანხმდით. ცალკე ალასანია მართალია ივანიშვილთან და ცალკე ივანიშვილიც მართალია ალასანიასთან. მთელი უბედურება და ტრაგიზმი ამ სიტუაციაში ეს არის. ცალ-ცალკე ორივე მართალია, მაგრამ ქვეყანასთან ცდება ორივე. ხალხთან ცდება ორივე. ავიწყდებათ, რომ ეს ქვეყანა მათი საჯიჯგნი არ არის.

# საპატრიარქომ წყალდიდობით დაზარალებულ ერთ-ერთ ოჯახს ბინა გადასცა

საქართველოს საპატრიარქო, თბილისში წყალდიდობით დაზარალებულ ერთ-ერთ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს დაეხმარა და მათ ჭავჭავაძის გამზირზე არსებული ბინის გასაღები გადასცა.





საპატრიარქოში, უწმინდესთან 19 ივნისს გამართულ შეხვედრაზე თავად დაზარალებულები, პრემიერ-მინისტრი და დედაქალაქის მერი იმყოფებოდნენ.

ენუქიძეების 8 სულიანმა ოჯახმა წყალდიდობის შედეგად სახლი დაკარგეს. სტიქიას შეეწირა ბავშვების მამა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ხალხი თავს არ ზოგავს, იმისთვის რათა გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროს და თავის მხრივ, საპატრიარქომაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ოჯახს დახმარებოდა.

– დავინახეთ ჩვენი ხალხის, ახალგაზრდების ერთგულება და ერთსულოვნება. ხალხი თავს არ ზოგავს, იმისთვის რომ გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროს. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს ბინა გადავცეთ მრავალშვილიან ოჯახს. მოხარული ვარ, რომ ეს ბავშვები ამ ბინაში გაიზრდებიან, – ბრძანა ილია მეორემ.

პრემიერმა კი პატრიარქს ოჯახის დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მსგავსი ტრაგედია აღარ განმეორდება.

– ტკივილი სიხარულით შეიცვალა და იმედი მაქვს, რომ მომავალში აღარ განმეორდება ასეთი რამ. დღეს დილით ჩვენმა ძვირფასმა პატრიარქმა დამირეკა და მაცნობა მისი გადაწყვეტილების შესახებ. დიდი მადლობა მას ამ ძალიან დიდი სიკეთისთვის, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# ახალი ზოოპარკის გაშენება მთავრობას 22 მილიონი ევრო დაუჯდება





**13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მდინარე ვერეს ხეობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.**

ღარიბაშვილის თქმით, სამუშაო ჯგუფი უკვე შექმნილია, კომისიის მუშაობაში ჩასართავად კი სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის კარი ღიაა.

ამის შესახებ პრემიერმა საქართველოს საგანგებო შტაბის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, მზიურში მიმდინარე საძიებო და გაწმენდით სამუშაოებში მეხანძრე მაშველთა 300 კაციან და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 200 კაციან ჯგუფთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მოხალისეები, რომელთა რიცხვი 600-ზე მეტია.

მოხალისეთა კოორდინაცია ადგილზე შსს-ის და მერიის წარმომადგენელთა მიერ ხორციელდებოდა. მისივე თქმით, ზოოპარკის ტერიტორიის დასუფთავება გრძელდება და წყლის ამოტუმბვა მიმდინარეობს.

ბოლო მონაცემებით, დაკარგულად კვლავ ერთი მცირე ზომის ვეფხვი და ერთი აფთარი ითვლება.

პრემიერმა მოსახლეობას მაქსიმალური სიფრთხილისა და ყურადღებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

საგანგებო შტაბის წევრებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა შემოწირულობების სახით მობილიზებული თანხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისი განცხადებით, შემოწირულობა 6 მილიონ ლარს აჭარბებს, გარდა ამისა, ასევე, კერძო პირებისაგან 120 ათასი დოლარია მობილიზებული.

ხადურმა დონორ ორგანიზაციებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ევროკავშირი სახლების ასაშენებლად 3 მილიონ ევროს გამოყოფს, მსოფლიო ბანკი და გაეროს განვითარების ფონდი კი საქართველოს სამი მიმართულებით (ჰუმანიტარული, ზიანისა და დანაკარგების შეფასების და საშუალო და გრძელვადიანი რისკების მართვაში) დაეხმარება.

– აღნიშნული ორგანიზაციების ექსპერტები დახმარებისთვის მზად არიან. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გვთავაზობს მდინარე ვერეს გასწვრივ ტერიტორიის გეოლოგიურ შესწავლას, ასევე, ზოოპარკის დახმარებას. აზიის განვითარების ბანკი მზად არის, ამ ეტაპზე, მოკლევადიან პერიოდში 11 მილიონი დოლარის რესურსი გამოგვიყოს. ეს თანხა პირველ ეტაპზე თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალს მოაკლდება, თუმცა, ის შემდეგ შეივსება და მაგისტრალის მშენებლობა არ შეფერხდება. ისინი ასევე, მზად არიან, 57 მილიონის იაფ რესურსზე გვესაუბრონ. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი მზად არის, 50-დან 100 ათას დოლარამდე ზოოპარკის რეაბილიტაციისთვის გამოყოს. შვედეთის საელჩო მზად არის, ექსპერტები და გეოლოგები ჩამოიყვანოს, რომლებიც დაგვეხმარებიან. გერმანიის მთავრობას გავუგზავნეთ საჭიროებათა ანალიზი და ისინი მზად არიან ჰუმანიტარული დახმარებებისთვის, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

საგანგებო შტაბის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ არსებობს ახალი ზოოპარკის პროექტი. პირველადი მონაცემებით, ახალი თანამედროვე ზოოპარკის ღირებულება დაახლოებით 22 მილიონი ევროა და ის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.

**ნიუსპრესი**

# დაღუპული მაშველი მედლით – „სამოქალაქო თავდადებისთვის“ დაჯილდოვდა



მეხანძრე-მაშველი ზურაბ მუზაშვილი, რომელიც სტიქიის დროს, 7 ადამიანის გადარჩენის შემდეგ დაიღუპა, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მედლით – „სამოქალაქო თავდადებისთვის“ დააჯილდოვა.

– საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2015 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის I სახანძრო-სამაშველო ნაწილის (განყოფილება) უმცროსი ინსპექტორი (მეხანძრე-მაშველი) ზურაბ მუზაშვილი დაჯილდოვა მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ (სიკვდილის შემდეგ), – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მიმართა შუამდგომლობით, რომ მაშველი ზურაბ მუზაშვილი თავდადების მედლით დაჯილდოვებულიყო.

ზურაბ მუზაშვილმა სტიქიის ღამეს 7 ადამიანი გადაარჩინა, თუმცა, თვითონ დაიღუპა.

**ნიუსპრესი**

# გააგრძელებს თუ არა კრიზისში მყოფი რუსეთი აფხაზეთის დაფინანსებას?



მარიამ მჭედლიშვილი

**პეტერბურგში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში ანექსირებული აფხაზეთის დელეგაციაც მონაწილეობს.**

ფულის დაბანდება და ეკონომიკის ამუშავება აფხაზეთისთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის – საკურორტო სეზონის დროს. დამსვენებლებსა და ტურისტებს, სხვა ყველაფერთან ერთად, ხილ-ბოსტნეული ესაჭიროებათ. აგრარული სექტორი აფხაზეთში ჩამკვდარია. ამ მხრივ გამონაკლისი გალის რაიონია, რომლის ქართველი მოსახლეობა ბევრი მიმართულებით იჩაგრება.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობს, თვითონ გადადგას ნაბიჯები ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად. მაგალითად, რაულ ხაჯიმბამ შეხვედრა გამართა საბანკო სექტორთან მცირე მეწარმეების დაკრედიტების საკითხებზე. შესაბამისი გეგმა დე ფაქტო ეროვნულ ბანკთან ერთად შემუშავდა. ახლა გათვალისწინებულია მასში კომერციული ბანკების ჩართვა, თუმცა, როგორც წესი, ასეთი პრობლემები ადვილად არ წყდება და ამით მცირე ბიზნესი ვერ აყვავდება.

აფხაზეთის ერთადერთ მსხვილ საწარმოდ „ტყვარჩელქვანახშირი" ითვლება. საერთოდ, ტყვარჩელში თოთხმეტი სახელმწიფო და კომერციული საწარმოა. მიუხედავად ყველაფრისა, პრობლემები ამ რაიონსაც არ აკლია. 2013 წელს აქ წყალი იმდენად დაბინძურდა, რომ დიზენტერიის გავრცელება გამოიწვია.

ერთ-ერთი სარფიანი საქმე ზაფხულში სურსათით ვაჭრობა და კვების ორგანიზებაა. სოხუმის საკრებულომ სავაჭრო და კვების ობიექტების სანაპიროზე განთავსებაზე წილისყრა გამართა. მანამდე სოხუმის სანაპიროზე ეს აკრძალული იყო. წილისყრამდე ქალაქის ადმინისტრაციამ გამოაცხადა მათი დისლოკაციის ადგილები, კარვების დიზაინი და საქმიანობა. მომავალი წლისთვის ამ განხრის პავილიონები დაიხვეწება და ერთ სტილს დაექვემდებარება.

დადგინდა ფასები. მაგალითად, მცირე კიოსკისა და დახლისათვის გადასახადი წელიწადში 600 რუბლია; დიოსკურების სანაპიროზე, აკირტოვის ქუჩასა და ლეონის ქუჩაზე – 1.000 რუბლი; მდგრადი შენობებისათვის 2.000 ან 3.000 რუბლი ფართის მიხედვით.

ეს ობიექტებიც იმ შემთხვევაში იხეირებენ და ბიუჯეტსაც გაამდიდრებენ, თუ სოხუმში დამსვენებლები ჩავლენ. ტურისტების მთავარი წყარო მისთვის რუსეთია, უფრო ზუსტად, ნაკლებად შეძლებული მოქალაქეები.

რუსეთში არსებული კრიზისის თაობაზე საუბარი არ ცხრება. მაგალითად, იმავე პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ერთ შეხვედრაზე რუსეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა, რომ კრიზისი ჩამცხრალი არ არის და ზაფხულში იძულებით შვებულებაში გაშვებული ბევრი საწარმოს თანამშრომლები შემოდგომაზე უმუშევრები აღმოჩნდებიან.

ეკონომიკურმა სანქციებმა, ნავთობის გაიაფებამ და ძვირმა კრედიტებმა რუსეთის ეკონომიკას უმძიმესი დარტყმა მიაყენა. ამ სიტუაციაში რუსეთს აფხაზეთის რჩენა, რომელიც მან იტვირთა, ძალიან გაუჭირდება.

რუსეთს, საერთოდ, ნაკლებად ეცლება აფხაზეთისათვის. აშშ-ის კონგრესის სენატმა მოიწონა კანონპროექტი უკრაინისათვის სამხედრო დახმარების შესახებ. დახმარებაში იგულისხმება რადარების, ტანკსაწინააღმდეგო იარაღისა და სხვა შეიარაღების გადაცემა. ნატოს ხელმძღვანელები იმასაც აცხადებენ, რომ ნატო მზადაა, დაუპირისპირდეს რუსეთის მუქარებს ძალის გამოყენების შესახებ.

ამ ვითარებაში რუსეთისთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ზედმეტი თავის ტკივილი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში – ფინანსურად.

# ქალის მიმართ არასასურველი სატელეფონო კომუნიკაცია 2 წლიანი პატიმრობით დაისჯება

**წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა. ქალის მიმართ უკანონო თვალთვალი, სატელეფონო ან ელექტრონული საშუალებებით კომუნიკაცია, რომელსაც სისტემატური ხასიათი აქვს და შეიცავს მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ მუქარას, ორ წლამდე პატიმრობით დაისჯება. სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ხდება სტერილიზაციის იძულებაც, ქალთა მიმართ ძალადობრივი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი კი იზრდება.**

ცვლილებათა პაკეტი 20-მდე კანონს შეეხება.

სისხლის სამართლის კოდექსში შემოდის ახალი ცნება - ადევნება, რომელიც დასჯადი ქმედება ხდება. ის მოიცავს უკანონო თვალთვალს, სატელეფონო, ელექტრონული ან სხვა საშუალებებით არასასურველ კომუნიკაციას, რომელსაც სისტემატური ხასიათი აქვს, შეიცავს მუქარას ან შეურაცხყოფას მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ და აიძულებს პირს, მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი. მაქსიმალურ სასჯელად ამ ქმედებისათვის ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება.

აბორტის იძულებასთან ერთად, რომელსაც სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი დანაშაულად განიხილავს, დასჯადი ხდება სტერილიზაციის იძულება.

იზრდება ქალთა მიმართ ძალადობრივი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი. ის მოიცავს ქმედებებს, რომლებიც მიმართულია მეუღლის ან ყოფილი მეუღლის, ან პარტნიორის მიმართ; უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით ან მის მიმართ; განმეორებით; ჯგუფურად; იარაღის მუქარით ან იარაღის გამოყენებით; ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებით; განსაკუთრებული სისასტიკით; მსგავსი და-



ნაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ.

ცვლილებების პაკეტი უფრო ეფექტურს ხდის ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებს. „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში" ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ნორმების მოქმედების სფერო ფართოვდება. ის მოიცავს არა მარტო ოჯახის წევრ ქალთა მიმართ, არამედ, საზოგადოდ, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობასაც. ქალი დაცული იქნება არა მხოლოდ ოჯახურ სივრცეში, არამედ ოჯახის მიღმაც.

კერძოდ, თუკი დღევანდელი რედაქციით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლს აქვს უფლება, ისარგებლოს უფასო იურიდიული კონსულტაციით, დროებით საცხოვრებელში (თავშესაფარში) ყოფნის პერიოდში კი ეძლევა 30-დღიანი შვებულება, ეს უფლება გავრცელდება ოჯახს მიღმა ძალადობის მსხვერპლზეც.

ძალადობის მსხვერპლი, თუკი ის არ არის საქართველოს მოქალაქე, არაოჯახური ძალადობის შემთხვევებშიც შეძლებს, მიიღოს დროებითი ბინადრობის ნებართვა. სამართალწარმოების დასრულებამდე დაუშვებელი იქნება უცხოელის გაძევება საქართველოდან, თუკი ის ძალადობის მსხვერპლია.

ცვლილებები ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მოძალადის სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების ვალდებულებას აწესებს. დღემდე ეს ვალდებულება მხოლოდ ოჯახში გამოვლენილი დანაშაულის მსხვერპლის მიმართ არსებობდა. „პატიმრობის კოდექსში" ცვლილებების თანახმად, საპატიმროს ადმინისტრაცია ვალდებულია, მოძალადის გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე წერილობით შეატყობინოს საუბნო პოლიციას დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით; თავის მხრივ კი, პოლიცია, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებით, ვალდებული იქნება, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლს აცნობოს ამ პირის გათავისუფლების თაობაზე.

ფართოვდება სამედიცინო პერსონალისა და ადვოკატის უფლებამოსილებაც - ძალადობის ფაქტების შესახებ აცნობონ სამართალდამცველებს, რაც ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში იმოქმედებს. დღევანდელი კანონმდებლობით, ეს დათქმა მხოლოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან მიმართებაში არსებობს.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია, სამართალდამცველებს მიაწოდოს ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. ამის შესაძლებლობა ექნებათ საჯარო სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებს, მანდატურებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ პერსონალს. ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირება შეეძლებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც.

ძალადობის ჩამდენ პირებს აეკრძალებათ პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, შეეზღუდებათ ან ეკრძალებათ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება; ხოლო თუკი პირი უკვე ფლობს იარაღს დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში, მას იარაღი ჩამოერთმევა. ცვლილებების თანახმად, ეს ნორმაც ნებისმიერი ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში იმოქმედებს და მხოლოდ ოჯახურ დანაშაულზე აღარ გავრცელდება.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მომზადებული ცვლილებებით საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის სტამბულის კონვენციასთან, რომლის მიზანია, დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, განახორციელოს პრევენცია, გამოიძიოს და აღმოფხვრას ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ხელი შეუწყოს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას.

კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. იქმნება ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მხარეთა მიერ წინამდებარე კონვენციის ცხოვრებაში გატარებას.

სტამბულის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობაში უკვე განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ქორწინების იძულებასა და ნაადრევ ქორწინებას არეგულირებს.

შეგახსენებთ, 2014 წლის ბოლოს ცვლილება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმადაც 1501 მუხლი – ქორწინების იძულება ჩაემატა, რითაც მისი კრიმინალიზაცია მოხდა. ცვლილება ძალაში 2015 წლის პირველი აპრილიდან შევიდა.

„ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" სტამბულის კონვენცია 2011 წლიდან მოქმედებს. საქართველო კონვენციას 2014 წელს შეუერთდა.

2014 წელს საქართველოში 33 ქალი მოკლეს, აქედან 17 ქალი ოჯახში ძალადობის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქალთა მკვლელობების ყველაზე მაღალი რიცხვი პარტნიორულ ურთიერთობებში ფიქსირდება.

სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლს შესაბამისი რეაგირების თხოვნით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული, თუმცა, ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული.ანაცხოვრების შემდეგ, მეუღლისგან ქონების ნახევარზე მოთხოვნას ასე გასცა პასუხი.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე აფხაზეთის რკინიგზის საკითხს განიხილავენ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრეგორი კარასინის განცხადებით, მისი და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ აბაშიძის შეხვედრა ივნისში გაიმართება.

კარასინის განცხადებითვე, შეხვედრაში, რუსეთის მხრიდან, ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლებიც იქნებიან ჩართულები, რადგან მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის ამ მიმართულებით ბევრი პრობლემა დაგროვდა.

ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი" ავრცელებს.

– ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს შეხვედრა ივნისის ბოლომდე გადაიდება. ამ ფორმატში ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლების გასაუბრებაცაა დაგეგმილი. ამ ეტაპზე, ჩვენი მხრიდან ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლები ჩაერთვებიან მოლაპარაკებებში, რადგან როგორც საგზაო, ისე საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, პრობლემებია დაგროვილი, – განაცხადა გრიგორი კარასინმა.

მანვე დასძინა, რომ ქართული მხრიდან შეხვედრაში, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები ჩაერთვებიან.

კარასინმა არ გამორიცხა, რომ აბაშიძესთან შეხვედრაზე, ოკუპირებული აფხაზეთის გავლით, რკინიგზის მშენებლობის საკითხი განიხილონ.

ჩვენ ურთიერთობებში ტაბუდადებული თემა არ გვაქვს, ამიტომ ეს საკითხიც შესაძლოა განვიხილოთ. ამ საკითხის განხილვაში მესამე მხარის ჩართულობაა აუცილებელი, ამიტომ ეს ყველაფერი ძალიან ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაკეთდეს. ყველა საკითხს, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხება, ჩვენ ივნისის ბოლოს, ჟენევაში განვიხილავთ, – განაცხადა გრეგორი კარასინმა.

**ნიუსპრესი**

# სააკაშვილი: „სტიქიის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს, ოდესაში დასვენებას ვთავაზობთ"

საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის თბილისში მომხდარ სტიქიას ძალიან განიცდის და გუნდთან ერთად ბევრს ფიქრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობას დაეხმარონ.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ოდესაში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თბილისში სტიქიით დაზარალებული ბავშვები ოდესაში დაისვენებენ.

მისივე თქმით, ისინი ამ საკითხზე თბილისის მერიას დაუკავშირდებიან.

– ბიზნესმენების ადგილობრივ ჯგუფთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თბილისში წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ბავშვები ზაფხულში ოდესაში დავასვენოთ და სტრესი მოვუხსნათ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს ექსპრეზიდენტის თქმით, უკრაინაში თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რაც იმის დასტურია, რომ უკრაინაშო საქართველოს მიმართ დიდი სიყვარული და მეგობრობაა.

**ნიუსპრეს**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, სტიქიის შედეგები ასეთი დიდი არ იქნებოდა“

**13-14 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებსა და იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ მომავალში ამგვარი კრიზისების თავიდან ასაცილებლად, „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.**



***— ბატონო ალექსანდრე, 13-14 ივნისს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე უამრავი კვალიფიციური თუ აშკარად ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ პოლიტიკური შეფერილობის აზრი გამოითქმის. რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს, ამგვარი პროპაგანდისტული ნაბიჯები, მათი არსი ნათელია, მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ახლა ყველაზე მართებული იქნებოდა მომხდარი ტრაგედიიდან სწორი გაკვეთილების გამოტანა და იმაზე კონტრეტული გადაწყვეტილებების მიღება, რაც მომავალში გამორიცხავს მსგავს ტრაგედიებს. ვიდრე ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადავიდოდეთ, თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?***

— საუბედოროდ, ბუნებრივი კატაკლიზმები ადრეც მომხდარა და მომავალშიც მოხდება. ადამიანს არ ძალუძს მათი თავიდან აცილება. შესაძლებელია მხოლოდ შემარბილებელი, მეტად პროფესიული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან ავაცილოთ ადამიანების მსხვერპლი და შევარბილოთ კატაკლიზმების ეკონომიკური შედეგები.

მაგალითად, მდინარე ვერე ადიდდა 1963 და, თუ არ მეშლება, 1971 წლებში. 1963 წელსაც ზოოპარკიდან მტაცებელი ცხოველები გაიქცნენ, მაგრამ ადამიანთა მსხვერპლი ამ კატაკლიზმებს არ მოყოლია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი — ეტყობა, ადამიანთა სიხარბეს საზღვარი არ აქვს და ჩვენ, ვაშენებთ იქ, სადაც მშენებლობა სრულიად გამორიცხული უნდა იყოს, მაგალითად, ვერეს არამც თუ ხეობაში, არამედ კალაპოტშიც კი. მეორე — აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზებით ჩვენ გავაუქმეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უწყება — სახელმწიფო გეოლოგიური სამსახური და საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, რომელიც პროფესიულ გეოგარემოზე ზემოქმედების ექსპერტიზას ჩაატარებს და შეიმუშავებს შესაბამის ღონისძიებებს.

ამის შესახებ მე საჯაროდ ვსაუბრობდი დარიალის ხეობის ტრაგედიის შემდეგ და ვართხილებდი ხელისუფლებას, რომ ტრაგედიები გაგრძელდებოდა. ფაქტიც სახეზეა. მესამე — ჩვენ არ გვინდა, ვცნოთ დაშვებული შეცდომები და მათ გამოსწორებას ირიბი მეთოდებით ვცდილობთ: ვპატიჟებთ იმ გეოლოგიურ სამსახურებს (ჩეხეთი, იტალია), რომლებსაც კონსულტაციებს ჩვენ პირადად ვუწევდით, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის აღდგნა კი არ გვინდა. შედეგად, მუშავდება ნახევარზომები. მაგალითად, არაგვისა და დარიალის ხეობებში დამონტაჟდება შესაბამისი აპარატურა. მაგრამ რა ვუყოთ ყვირილას, აჭარისწყალსა და სხვა გეოდინამიკურად აქტიურ რაიონებს? ახალ ტრაგედიებს დაველოდით? პრობლემას სისტემური პროფესიული და არა პოლიტიკური გადაწყვეტა ჭირდება და ეს მხოლოდ პროფესიონალებმა და არა პოლიტიკურმა ელიტემმა უნდა გააკეთონ.

***— ექსპერტთა და საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ 2010 წელს ვერეს ხეობაში წინა ხელისუფლების მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მოსასწრებად დაჩქარებულ ტემპებში განხორციელებული სამუშაოები ისე ჩატარდა, რომ არა მარტო საკმარისად არ იყო გათვალისწინებული ხეობის თავისებურებები, არამედ ის საფრთხეები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამავე ხეობაში წვიმას, სტიქიის გამძვინვარებას, მთის ქანების ჩამოშლასა და ღვარცოფებად გადაქცევას. ალბათ, ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელი იყო, მაგრამ თქვენი აზრით, ვერეს ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე რა არ იყო გათვალისწინებული და საერთოდ, რამდენად შესაძლებელი იყო სტიქიის მასშტაბების გათვლა, შემდგომ პრაქტიკულ გეგმებში გათვალისწინება?***

— ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. წინა ხელისუფლების დროს ინფორმციისგან აბსოლუტურად გარიყული ვიყავი. საზოგადოდ კი, რა თქმა უნდა, პროექტის არც გეოლოგიური და არც ეკოლოგიური ექსპერტიზა არ ჩატარებულა — ამას მინიმუმ ერთი წელი დასჭირდებოდა, ხოლო ჩვენ წინა პრეზიდენტს ამისთვის მოთმენა ნამდვილად არ ეყოფოდა. ამიტომ მომხდარში ბრალი არა მშენებლებს, არა გეოლოგებს, არა ეკოლოგებს, არამედ სწორედ წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს მიუძღვის, რომლებსაც პროფესიული აზრი სულაც არ აინტერესებდათ და ნებისმიერი უცხოელი საშუალო და დაბალი დონის სპეციალისტის ზერელე გამონათქვამი ქართველი გამოცდილი პროფესიონალის დასაბუთებულ ექსპერტიზას ერჩივნათ. საუბედუროდ, ასეთ ტენდენციებს ეხლაც ვხედავ. ამ ინტერვიუს, მაგალითად, საზღვარგარეთიდან გაძლევთ, სადაც ზუსტად პროფესიულ ექსპერტიზას ვატარებ.

***— პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მომხდარი ტრაგედიის მიზეზების შესასწავლად შეიქმნა სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული სახელმწიფო კომისია. მანვე არ გამორიცხა, რომ 2010 წელს ვერეს ხეობაში განხორციელებული მშენებლობის შესწავლის მასალები პროკურატურას გადაეცეს. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მასალების შესწავლის შემდეგ შესაძლოა, კონკრეტულ პირთა ბრალეულობა გამოიკვეთოს?***

— ვიცი მე ასეთი კომისიების მუშაობის სტილი. კომისია კი არა, სათანადო სახელმწიფო სტრუქტურა უნდა შეიქმნას. ის მაინც შეიქმნება, ამ მთავრობის თუ არა, მაშინ მომდევნო ადმინისტრაციის ინიციატივით. რაც გვიან შეიქმნება, მეტი მსხვერპლის გაღება მოუწევს ჩვენ ბედკრულ ქვეყნას. კომისიის დასკვნა კი პოლიტიზებული იქნება. დაისჯებიან, თუნდაც სამართლიანად, პირები, პრობლემა კი არ მოგვარდება. აიღეთ მაგალითი: ვინლა ატარებს სახლის აშენების წინ საინჟინრო-გეოლოგიურ ექსპერტიზას, ვინ იცავს ანტისეისმური მშენებლობის ნორმებს? მე ძალან მეშინია თუნდაც საშუალო მაგნიტუდის მიწისძვრის და ჩემ ახლობლებს არ ვურჩევ ახლადაშენებულ ფეშენებელურ სახლებში ბინის ყიდვას.

***— ჩვენ საუბარი იმით დავიწყეთ, რომ იქნებ ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაზეც ვისაუბრეთ, შეძლებისდაგვარად გაგვეკეთებინათ შექმნილ სიტუაციაში ოპტიმალურ და რაციონალურ გადაწყვეტილებათა ჩამონათვლი, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ვერეს ხეობაში განხორციელებული მსგავსი პროექტების დაწყებას? ურბანისტ ნიკო კახეთელაძის განმარტებით, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მოხდა მშენებლობის დარგის დერეგულირება, მშენებლობა და არქიტექტურა კი ეკონომიკის ის დარგებია, რომლებშიც მკაცრი რეგულაციების გარეშე კონკრეტული საქმის კეთება წარმოუდგენელია.***

— მე არ მინდა ველოსიპედის გამოგონება. მშენებლობა უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო ნორმატივებს, რომელიც საქართველოში არ არსებობს. მშენებლობის დაწყების წინ უნდა განხორციელდეს საინჟინრო-გეოლოგიური ექსპერტიზა. ჩვენ მოვსპეთ მშენებლობის სამინისტრო და გეოლოგიის დეპარტამენტი. მაშ, ვინ უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო ნორმატივები და ჩაატაროს ექპერტიზა? ვინ უნდა აგოს პასუხი ქვეყნის გეოდინამიკურ უსაფრთხოებაზე? ეკონომიკის მინისტრმა? ფინანსთა მინისტრმა? კულტურის მინისტრმა? თავდაცვის მინისტრმა? მათ ხომ ამის პროფესიული ცოდნა არა აქვთ. ჩვენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ვქმნით პოლიტიკური და არა საზოგსდოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ხომ მოგვწონს დასავლეთი და აშშ? რატომ არ ვიღებთ მაგალითს ამ ქვეყნებიდან?

***— ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა — „ახლა მთავარია, მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, რომ ქალაქში არაფერი აშენდეს, თუ არ იქნება გადაწყვეტილი ურბანული, ეკოლოგიური და არქიტექტურული სტანდარტები. ეს კანონი საკრებულომ ან პარლამენტმა უნდა მიიღოს“. შესანიშნავი აზრია, ამ ტრაგედიიდან ამაზე კარგ გაკვეთილს ალბათ ვერ გამოვიტანთ. წესით, ახლა პარლამენტმა უსწარფესად უნდა დაიწყოს ამგვარი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე მუშაობა. ამაზე დღეს ბევრი კი საუბრობს, მეტიც, ურბანისტმა ნიკო კახეთელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „თუ მშენებლობის დაწყებაზე უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება“. გასაგებია, რომ მშენებლობის სფერო ისეთი დარგია, რომ მასში შესაძლოა, ბევრ გავლენიან ადამიანს ჰქონდეს ინტერესი, მაგრამ თქვენი აზრით, პარლამენტი ამგვარ ნაბიჯებს გადადგამს?***

— ქალბატონი სალომეს აზრიც პოლიტიკური და არაპროფესიულია. პარლამენტმა კი უნდა მიიღოს ასეთი კანონი, მაგრამ ვინ შეიმუშავებს მას? ამისი პროფესიული რესურსი არც პარლამენტში და არც მთავრობაში, მერწმუნეთ, არ არსებობს. გამოსავალი ერთია. როგორც არ უნდა გაუჭირდეს, მთავრობამ ფეხი უნდა დააბიჯოს თავის თავმოყვარეობას და იხმოს პროფესიონალები. მოვიყვან მაგალითს. ორ წელზე მეტია, რაც პროფესიონალთა ჯგუფმა შევიმუშავეთ საქართველოს თანამედროვე სამთო-გეოლოგიური კოდექსის კანონპროექტი, სადაც ნაგულისხმევი იყო გეოლოგიური სამსახურის აღდგენა. კანონპროექტი 2013 წლის 28 თებერვალს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს გადავეცით. გსმენიათ რამე ამ კანონპროექტის ბედის შესახებ? არც მე არ მსმენია. არა და, გეოლოგიური სამსახური რომ ყოფილიყო აღდგენილი, უკვე იარსებებდა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი გეოდინამიკური მონიტორინგის ცენტრი და 13-14 ივნისის კატაკლიზმებს გაცილებით უფრო რბილი შედეგები ექნებოდა...

***— მოგეხსენებათ, ჩვენში ახალი ჰესების მშენებლობის საკითხი აქტიურად განიხილება. ბევრ მათგანზე, კერძოდ, სვანეთისა და მთიანი აჭარის მოსახლეობა მწვავედ რეაგირებს და აპროტესტებს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს ვერეს ხეობაში მომხდარს და მეტი პასუხიმგებლობით მოეკიდება გრანდიოზული ჰესების მშენებლობას, რომლეთა აშენების შემთხვევაში ეკოლოგთა აზრით, ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას სერიოზული ზიანი მიადგება? თუ მომავალ თაობებსაც დავუტოვებთ საფიქრალ-სადარდებლად უკვე აშენებული ობიექტების საფრთხეებს?***

— აქ სიტუაცია პრინციპულად განსხვავებულია. ყველა პროექტზე შექმნილია თანამედროვე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები. მთავარია, ამ ანგარიშების პროფესიული და არა პოლიტიკური, ექსპერტიზა განხორციელდეს.

***— სხვათა შორის, სტიქიის გამძვინვარების დაწყების შესახებ აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება. ერთი ვერსიით, მთის კალთის ჩამოშლა მას შემდეგ მოხდა, რაც გმირთა მოედანზე ტრაგედია უკვე მომხდარი იყო. ეს არარეალურად გამოიყურება. მეორე ვერსიით, მთის ნაწილის დაშლა ტრაგედიას წინ უძღოდა. თუ მეორე ვერსიაა სწორი, გამოდის, რომ წყალი დაახლოებით 18-20 საათის განმავლობაში გუბდებოდა ვერეს ხეობის ზედა წელში და ეს პროცესი შეუმჩნეველი დარჩა. როგორც ჩანს, ჩვენ არც ისეთი სტრუქტურა გვაქვს, რომ ამგვარ მოვლენებზე მონიტორინგი შეეძლოს და შემდეგ მასზე ოპერატიულად რეაგირებდეს. თქვენი აზრით, ამ თვალსაზრისით რა არის ქვეყანაში გასაკეთებელი?***

— მეც ამას არ გეუბნებით? უნდა აღდგენილ იქნას საქართველოს გეოლოგიური სამსახური.

***— 16 ივნისს ლაგუნა-ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე ვეფხვმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. არ ვიცი, რის საფუძველზე გადაწყვეტეს ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, რომ ზოოპარკის ყველა ბინადარი გალიებშია, მაგრამ ფაქტია, ვიდრე ყველა მტაცებელი ცხოველი არ მოიძებნებოდა, აუცილებელი იყო გმირთა მოედნის მიდამოებში, სადაც სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს, შეიარაღებული ხალხი ყოფილიყო. გაუგებარია, რატომ იჩქარა ხელისუფლებამ ხალხის იმ ვითარებაში დამშვიდება, როცა საფრთხე რეალურად არსებობდა?***

— საერთოდ არ მესმის, როგორ მოხდა ეს. ნუთუ არ არსებობს ზოოპარკის „მობინადრეთა“ კომპიუტერული მონაცემთა ბაზა ან თუნდაც რეესტრი? რა უნდოდა ზოოპარკში დარჩენილი და დაბრუნებული, აგრეთვე განადგურებული ცხოველების გადათვლას და მონაცემთა ბაზასთან შედარებას? ესეც რა, არაპროფესიონალიზმია თუ პანიკის თავიდან აცილების სურვილი?

***— ლაგუნა-ვერაზე ვეფხვის ადამიანზე თავდასხმის შესახებ უამრავი მოსაზარება გამოითქმის. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც იკითხება საზოგადოების ნაწილის მიერ პოლიტიკური სიმპატია-ანტიპატიებით ხელმძღვანელობა. არავინ დავობს, რომ მომხდარზე პასუხიმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. თქვენი აზრი, რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა და რა უნდა გაკეთებულიყო მომხდარის თავიდან ასაცილებლად?***

— ყველაფერი ძალიან მარტივია. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს კარგად მოწყობილ და პროფესიული კადრებით დაკომპლექტებულ სამთავრობო უწყებებში. მაგრამ ვაი, რომ ეს არ შეგვიძლია და „გმირულად“ ვებრძვით შედეგებს, რომლის თავიდან აცილება ადვილად იყო შესაძლებელი.

***— როგორც გაირკვა, მსოფლიოს დიდ ზოოპარკებში გალიაში მყოფი მტაცებელი ცხოველების სხეულში ჩამონტაჟებული აქვთ ჩიპები და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოახერხებდენენ ზოოპარკიდან გაქცევას, მათი ადგილსამყოფელის დადგენა იოლია. ალბათ, ეს ის თემაა, რომლის მომავალში მაინც იქნება გასათვალისწინებელი, ვინაიდან ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანა უკვე დაანონსდა. გაქვთ იმის იმედი, რომ მომხდარი გვასწავლის თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ზოოპარკი?***

— იმედი, მართალია, სუსტი, მაინც მაქვს. ისე, არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო გამოუყენებელ შესაძლებლობათა ქვეყანაა.

კობა ბენდელიანი
„ინტერპრესნიუსი“

## დაზარალებულებს, შესაძლოა, საბანკო სესხები აღარ გადაახდევინონ

სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისთვის საბანკო სესხების შესაძლო პატიების საკითხი განიხილება. დაზარალებულებისათვის საბანკო ვალდებულებების კუთხით შეღავათების გაწევის თაობაზე საბანკო სექტორთან 18 ივნისს გამართული შეხვედრის შემდეგ განმარტებები ჟურნალისტებისთვის თბილისის ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გააკეთა.

— კომერციულ ბანკებთან შეხვედრისას რამდენიმე პრინციპული საკითხი განვიხილეთ. ბანკებს აქვთ სურვილი, განიხილონ გარკვეული შეღავათები, მათ შორის შესაძლოა, დაზარალებულ პირთათვის სესხების პატიება სამომხმარებლო ნაწილში, თუმცა ეს მათი გადაწყვეტილება იქნება და ამ გადაწყვეტილებაზე უახლოეს მომავალში თავად იტყვიან, — განუცხადა ჟურნალისტებს დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე ცნობით, შეხვედრაზე განხილვის საკითხი იყო იმ ფონდების განკარგვის საკითხი, რომლებიც ბანკებში აკუმულირდება.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია, შემუშავდეს გამჭვირვალობის წესი, როდესაც ყველა შემომწირველს ეცოდინება, რომ თითოეული თეთრი მიზნობრივად დაიხარჯა ან დაზარალებული პირების საჭიროებებზე, ან ქალაქის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი და მასთან ერთად ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია საბანკო სექტორის წარმომადგენლებს 18 ივნისს მთავრობის კანცელარიაში შეხვდნენ.

ბიპიენი

## ზარალს უცხოელი ექსპერტები შეაფასებენ

სტიქიის შედეგად თბილისისთვის მიყენებული ზარალის შეფასებაში უცხოელი ექსპერტები ჩაერთვებიან.

როგორც ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ მიზნით მსოფლიო ბანკი ექსპერტებს გამოყოფს. — ზარალის სავარაუდო ოდენობა დიდია, მაგრამ ვფიქრობ, სწორი იქნება დაიდოს ზუსტი შეფასება. ამ შეფასების გაკეთებაში ჩვენ უკვე მივიღეთ წერილი, რომ დაგვეხმარება მსოფლიო ბანკი. ის გამოყოფს ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც ზარალის შეფასებაში ჩაერთვება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილმა მოახლოებულ ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ სტიქიის გამო ოლიმპიადის ჩატარებაში შეფერხებები არ იქნება.

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ოლიმპიადის ობიექტებს სერიოზული ზიანი არ მიუღია. იყო მცირეოდენი დაზიანებები, მაგრამ ძალიან მცირე პერიოდში გამოსწორდება. სამუშაოები დღესაც გრძელდება. ჩემთვის რამდენადაც არის ცნობილი, შეფერხებები არ იქნება, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბიპიენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასამართლომ კაბელების საქმეზე დაკავებული 5 პირი პატიმრობიდან გაათავისუფლა

## 5 დეპუტატის პირადი თავდებობის საფუძველზე



გუშინ, 19 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კაბელების საქმეზე დაკავებულები გირაოს გარეშე, დეპუტატების ნინო გოგუაძის, ირაკლი ჩიქოვანის, ზურაბ აბაშიძის, ვიქტორ დოლიძის, შალვა შავგულიძის პირადი თავდებობის საფუძველზე გაათავისუფლა.

თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს თავდებში უდგებოდა თავდაცვის მოქმედი მინისტრი თინა ხიდაშელი. თავმდებთა სიაში იყვნენ ასევე დეპუტატები ანი მიროტაძე, გუბაზ სანიკიძე, ლევან ბერძენიშვილი. ასევე, გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, გივი სიხარულიძე, ნუგზარ კვაშალი და ოთარ ტატიშვილი.

სასამართლო ზემოთხსენებული 5 დეპუტატის თავდებობით შემოიფარგლა.

პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის, გირაოთი შეცვლას ითხოვდა.

ბრალდების მხარემ შესაბამისი შუამდგომლობის დაყენება იმით ახსნა, რომ 2015 წლის 28 ივლისს საქმეზე იწურება ბრალდებულების მიმართ შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადა, ხოლო საქმეზე ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის წინასასამართლო განხილვები; ასევე, დასრულებულია მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპი, შესაბამისად, ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე გავლენის მოხდენის და მტკიცებულებების განადგურების რისკები შემცირებულია.

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები ნუგზარ კაიშაური, გიზო ღლონტი, დავით წიფურია, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე გასული წლის ოქტომბერში დააკავეს.

***

მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში ტაშით შეხვდნენ.

ბრალდებულებმა სასამართლოს დარბაზის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთეს და განაცხადეს, რომ მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა.

— ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რისთვის ვიყავით ციხეში არარსებული დანაშაულის პირობებში, — განაცხადა ერთ-ერთმა ბრალდებულმა დავით წიფურიამ სასამართლო დარბაზიდან ბრალდებულების გათავისუფლების შემდეგ.

ჟურნალისტების კითხვაზე საპასუხოდ წიფურიამ აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, მათი დაკავება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

— უსიამოვნო და მძიმე შეგრძნება იყო, სადაც ჩვენ ვიყავით, მაგრამ სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, არარსებული დანაშაულისთვის რისთვის ვიყავით ციხეში, — განაცხადა დავით წიფურიამ.

ნუგზარ კაიშაურს, გიზო ღლონტს, დავით წიფურიას, გიორგი ლობჟანიძეს და არჩილ ალავიძეს „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გათავისუფლება პირადად მიულოცა.

— დღეს ბიძინა ივანიშვილი და მისი პროკურატურა დამარცხდა, — განაცხადა მან.

ალასანიას თქმით, სიმართლისთვის ბოლომდე ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ვინაიდან თუ საზოგადოება ერთიანია, ის აუცილებლად გაიმარჯვებს.

— სასამართლომ კაბელების საქმის ხუთივე უკანონო პატიმარი გაათავისუფლა. პროკურატურა ითხოვდა გირაოს 10.000 ლარს, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა.

დღეს ბიძინა ივანიშვილი და მისი პროკურატურა დამარცხდა. სიმართლისთვის ბოლომდე ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. თუ საზოგადოება ერთიანია, სიმართლე იმარჯვებს, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

***

ბრალდებულების ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს წინააღმდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავენ.

ამის შესახებ ადვოკატმა ლევან სამუშიამ განაცხადა.

როგორც ადვოკატი აცხადებს, პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში ჩადო ისეთი მტკიცებულება, რომლის დასაშვებობაზე საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია, ხოლო აღნიშნული მტკიცებულება სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად სცნო.

— უახლოეს მომავალში მივმართავ იუსტიციის საბჭოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ არარსებული ფაქტები ჩაწერა, გამოიგონა განჩინებაში და გააუქმა საქალაქო სასამართლოს განჩინება. ჩვენ მივმართავთ ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, — განაცხადა ლევან სამუშიამ.

სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულების პირადი თავდებობის გათავისუფლების შესახებ ადვოკატმა სამართლიანად შეაფასა.

— გადაწყვეტილებით კმაყოფილები ვართ, თითქმის რვათვიანი ტყვეობა დასრულდა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების და საქმეზე გამამართლებელ განაჩენს ველოდებით, — განაცხადა ლევან სამუშიამ.

***

სააპელაციო სასამართლოსთან დაკავშირებით ადვოკატ სამუშიას განცხადებას გამოეხმაურა საქმის პროკურორი ლევან ბაჩიაშვილი.

მისი თმით, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ბრალდების მხარის შუამდგომლობაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და ყველა ის მტკიცებულება, რომლის დასაშვებად ცნობასაც პროკურატურა მოითხოვდა, დაკმაყოფილდა. კერძოდ, პროკურორის თქმით, საუბარია ექსპერტის დაკითხვაზე, რომელსაც ბრალდების მხარე ასევე სააპელაციო სასამართლოში ითხოვდა და ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით ჯუღელი დაინტერესდა და პროკურორს ჰკითხ,ა იყო თუ არა გამოკვლეული წინა სხდომაზე ის დაკითხვის ოქმი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. მოსამართლემ მიუთითა, რომ ეს ექსპერტის დაკითხვის ოქმი, რომელიც სააპელაციოში გასაჩივრდა, მას ნანახი არ ჰქონდა.

გუშინ დაცვის მხარემ ასევე მოითხოვა ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რაზეც პროკურატურამ პოზიციის ჩამოსაყალიბებლად დრო ითხოვა.

***

პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულების პირადი თავდებობით გათავისუფლების თაობაზე არ ეთანხმება.

როგორც პროკურორმა ლევან ბაჩიაშვილმა სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც ბრალდების მხარე მიიღებს დასაბუთებულ განჩინებას აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, გაასაჩივრებს თუ არა პირადი თავდებობით გათავისუფლებას.

პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერჯერობით კვლავ არსებობს საფრთხეები ბრალდებულების პირად ქცევებთან დაკავშირებით, რის გამოც ბრალდების მხარე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას.

— სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა გაითვალისწინა იმ კუთხით, რომ დღესაც არსებობს ის რისკი და საფუძვლები, რომ ბრალდებულებმა შესაძლებელია ჩაიდინონ დანაშაული, მოწმეებზე მოახდინონ ზეგავლენა, ან არ გამოცხადდნენ სასამართლოში, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ პირადი თავდებობა უზრუნველყოფს ბრალდებულების პირად ქცევაზე კონტროლს, რასაც პროკურატურა არ ეთანხმება, რადგან მიგვაჩნია, რომ 10 ათასი ლარიანი გირაო, რომლის შუამდგომლობითაც მივმართეთ სასამართლოს, უზრუნველყოფდა სწორედ აღნიშნული რისკების არსებობას. ვინაიდან ჩადენილია მძიმე დანაშაული და ისეთი დანაშაული, რა დროსაც ბრალდებულებს 4 მილიონზე მეტი ქონების გაფლანგვა ედებათ ბრალად, — განაცხადა პროკურორმა.

***

მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების თაობაზე განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

— თბილისის საქალაქო სასამართლომ ე. წ „კაბელების საქმეზე" ბრალდებულები პირადი თავდებობის საფუძველზე სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

ბრალდებულებს გიორგი ლობჟანიძეს, არჩილ ალავიძეს, დავით წიფურიას, გიზო ღლონტსა და ნუგზარ კაიშაურს საქართველოს პარლამენტის ხუთი წევრი: ნინო გოგუაძე, ვიქტორ დოლიძე, ზურაბ აბაშიძე, შალვა შავგულიძე და ირაკლი ჩიქოვანი პირად თავდებად დაუდგა.

შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მათთვის აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობის გირაოთი – თითოეულისათვის 10-10 ათასი ლარის ოდენობით შეცვლის თაობაზე.

დღევანდელ სხდომაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომლებიც ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ან სასამართლოს შეხედულებისამებრ, პირადი თავდებობის გამოყენებას ითხოვდნენ.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით და მიიჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე აღარ არსებობდა რელევანტური საფუძვლები ბრალდებულთა განგრძობად პატიმრობაში დატოვებისათვის. აღკვეთის ღონისძიების მიზნებისა და ბრალდებულთა სათანადო ქცევის უზრუნველყოფა შესაძლებელია პირადი თავდებობის გამოყენებით.

მომდევნო სხდომა 2015 წლის 26 ივნისს, 11:00 საათზე გაიმართება.

# ზურაბ აბაშიძე: „სასამართლოს პროკურატურის უზურპაციის ქვეშ ყოფნა დასრულდა"

## „კაბელების საქმეზე 5 კაცის დაკავება ალასანიასთვის ზურგში დანის ჩაცემა იყო"

ნათია ხურცილავა



გუშინ, 19 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კაბელების საქმეზე დაკავებულები გირაოს გარეშე, დეპუტატების: ნინო გოგუაძის, ირაკლი ჩიქოვანის, ზურაბ აბაშიძის, ვიქტორ დოლიძის, შალვა შავგულიძის პირადი თავდებობის საფუძველზე გაათავისუფლა.

ამას წინ უძღოდა პროკურატურის შუამდგომლობა, რომლის მიხედვით, პროკურატურა დაკავებულთა გამოშვების წინააღმდეგი არ იყო. პროკურატურამ თავისი შუამდგომლობა იმით ახსნა, რომ 2015 წლის 28 ივლისს საქმეზე იწურება ბრალდებულების მიმართ შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადა.

„ახალ თაობასთან" ინტერვიუში აღნიშნულ საკითხზე „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე საუბრობს.

***— ბატონო ზურაბ, კაბელების საქმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ? რაზე მიანიშნებს პროკურატურის პოზიციის ცვლილება?***

— ხუთი უდანაშაულო ადამიანი რვათვიანი ტყვეობის შემდეგ სასამართლო დარბაზიდან მოსამართლის გადაწყვეტილებით იქნენ განთავისუფლებულები. ეს იყო დიდი გამარჯვება. ბიძინა ივანიშვილი კი იძახის, რა უხარია ალასანიასო, მაგრამ მე პირადად ძალიან მიხარია. მიხარია, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვა, რომ მოსამართლე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ირაკლი ალასანიასაც ძალიან უხარია, უხარია იმიტომ, რომ უდანაშაულო ადამიანები გარეთ არიან. ეს ადამიანები უკანონოდ ისხდნენ ციხეში. ამაზე იტყვიან, სამართალმა პური ჭამა. ამიტომაც გვიხარია.

***— ფიქრობთ, ყველაფერი ამოიწურა?***

— არა, რა თქმა უნდა, არა. ვინც ეს გააკეთა, მათ პასუხი აუცილებლად მოეკითხებათ და პასუხი უნდა აგონ კიდეც. არ შეიძლება გაგრძელდეს ქვეყანაში ის, რაც იყო და როგორც ექცეოდნენ ადამიანებს. ეს საქმე ერთი ერთში ჰგავს იმას, რაც იყო იმ ცხრა წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ეს საქმე გაგრძელდება, პროცესი სამართლებრივად არც დასრულებულა. ქვეყანას სამართლიანობისთვის ბრძოლა, როგორც ჩანს, კვლავ მოუწევს, ამ მიმართულებით კონსოლიდირებულები უნდა ვიყოთ. საზოგადოება იყო კიდეც ამ საქმის ირგვლივ კონსოლიდირებული. თითოეულ მათგანს მადლობა მინდა ვუთხრა, მათ ვინც ამ საქმის მიმართ ობიექტური და სამართლიანი იყო.

***— ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ბრძოლის გაგრძელებას აპირებთ?***

— რასაკვირველია, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. ამის ძალიან მჯერა.

***— ეს იყო პოლიტიკური გამარჯვება?***

— რა თქმა უნდა. ეს საქმე თავიდან ბოლომდე იყო პოლიტიკური. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ დაიწყო პროცესი, ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკა. მაღალი დონის ვიზიტებზე მყოფ ირაკლი ალასანიას აქ ზურგში დანა ჩასცხეს. ხუთი ადამიანი დააკავეს და პირდაპირ საპატიმროში უკრეს თავი, მაგრამ დღეს გაირკვა, რომ ეს ადამიანები უდანაშაულოები არიან და ნათელი გახდა უფრო ფართო საზოგადოებისთვის, რა მიზანი ჰქონდა ამ საქმეს.

***— რა მიზანი ჰქონდა?***

— პროცესებს ჩამოსცილებოდა ალასანია. დღეს მეფე შიშველია. ივანიშვილის პროკურატურა დამარცხდა.

***— რატომ დასჭირდა პროკურატურას თავისი პოზიციის ცვლილება? მათი არგუმენტია, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა იწურება.***

— რეალურად იწურებოდა წინასწარი პატიმრობის ვადა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მიზეზი, მიზეზი არის, რომ პროკურატურა ამ ყველაფრის მერე შეეცადა, როგორმე სახე შეენარჩუნებინა. სასამართლომ ეს ადამიანები საქართველოს პარლამენტის წევრების თავდებობით გაათავისუფლა ციხიდან. თავდებში დაუდგნენ: ნინო გოგუაძე, ვიქტორ დოლიძე, შალვა შავგულიძე, ირაკლი ჩიქოვანი, თქვენი მონამორჩილი. მოსამართლემ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ეს ადამიანები დღეს თავიანთ ოჯახებში იმყოფებიან. პროკურატურამ კარგად იცოდა, რომ ამ უსამართლობით შორს ვერ წავიდოდა და ეს შეკერილი საქმე მალე დაეშლებოდა.

***— საქმე შეკერილია?***

— საქმე რომ შეკერილია, ეს ჩემთვის პირადად ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ სასამართლო სხდომებიდანაც, რომლებიც თავიდან დახურული იყო, მერე ღია, მერე – კვლავ დახურული, კარგად გამოჩნდა და ნათლად დაინახა საზოგადოებამ. წინა ხელისუფლებაც ასეთივე მეთოდებით მოქმედებდა, ისინიც ასევე თეთრი ძაფით კერავდნენ საქმეებს და უდანაშაულო ადამიანებს ნერვის აუტოკებლად ციხეებში ყრიდნენ, სწორედ ამიტომ უთხრეს 2012 წლის 1 ოქტომბერს ამ ქვეყნის მოქალაქეებმა იმ ხელისუფლებას უარი, იმიტომაც გაისტუმრეს სახლში. ვფიქრობ, სასამართლოს პროკურატურის უზურპაციის ქვეშ ყოფნა დასრულდა. პროკურატურა გირაოს შეფარდებას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დეპუტატების პირადი თავდებობის საფუძველზე, ყოველგვარი გირაოს შეფარდების გარეშე, გაეთავისუფლებინა ეს ადამიანები სასამართლო დარბაზიდან.

***— შეიძლება ვთქვათ, რომ სასამართლო დღეს თავისუფალია?***

— რა თქმა უნდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო ეს ობიექტური გადაწყვეტილება, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა შემთხვევებზე. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები", ძალიან ვუფრთხილდებით მოსამართლეებთან მიმართებით კონკრეტული განცხადებების გაკეთებას, რომ მათ დამოუკიდებლობაზე რაიმე სახით არ იქონიოს გავლენა ამ განცხადებებმა, მაგრამ ამას არ უფრთხილდება ხელისუფლება. პირდაპირ გეტყვით, რომ ამას არ უფრთხილდება არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი.

***— ბიძინა ივანიშვილმა თქვენი პარტიის ლიდერის მისამართით არცთუ სასიამოვნო განცხადებები გააკეთა, ალასანია ყალბიაო. რას იტყვით?***

— თუ ვინმეს ოდნავ მაინც ეჭვი ეპარებოდა, რომ ამ საქმის ავტორი თავიდან ბოლომდე ბიძინა ივანიშვილი იყო, მან 18 ივნისს გაკეთებული განცხადებებით ყველა კითხვას პასუხი გასცა.

***— კონკრეტულად?***

— თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იყო. თავისი ნება ღიად გამოხატა. ასევე თქვა, რომ რა უხარია ალასანიასო.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტი და მაფია

## კრიმინალური სპორტული აფერები

სპორტი და აფერა განუყოფელი ნაწილია. ხშირად სპორტსმენები აკრძალულ პრეპარატებს იყენებენ, არის შემთხვევები, როდესაც ადგილი სიმულაციას აქვს ან აკრძალული ხერხით ცდილობენ გოლის გატანას. თუმცა, ისეთებიც ხდება, რომელიც საერთოდ კულისებს მიღმაა და მისი გასაჯაროება იშვიათი შემთხვევაა.

მაგალითად, ამერიკელი მოციგურავის ტონია ჰარდინგის ექსმეუღლე ჯეფ გილულიმ და პირადმა მცველმა შონ ეკჰარტმა ვინმე შეინ სტანტი იმისთვის დაიქირავეს, რომ ჰარდინგის კონკურენტ ნენსი კერიგანისთვის ფეხი მოეტეხა. საქმეში მძღოლი დერიკ სმითიც იყო გარეული, რომელმაც თავდასხმის მერე სტანტის გაუჩინარებაზე იზრუნა.

საბედნიეროდ, ხელკეტით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა კერიგანისთვის ფეხის მოტეხა ვერ შეძლო. ნენსი დაბეჟილობით გადარჩა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვება მაინც მოუხდა. მოგვიანებით კერიგანი და ჰარდინგიც ოლიმპიურ გუნდში აღმოჩნდნენ. ნენსიმ ვერცხლის მედალი მოიგო, ტონიამ – ვერც ვერაფერი... შემდეგ საქმე „გასკდა". აქამდე უცნობია, იცოდა თუ არა ჰარდინგმა დაგეგმებული თავდასხმის შესახებ, მაგრამ, ასეა თუ ისე, დამნაშავეების სახელის დაფარებაში ამხილეს და, 500-საათიან საზოგადოებრივ სამუშაოსთან ერთად, 160.000 დოლარის გადახდაც დააკისრეს. დანარჩენი დამნაშავეები ციხეში მოხვდნენ.

კანონთან არანაკლებ მწყრალად მყოფი აღმოჩნდა მარათონელი როზი რუიზი, რომელმაც 1980 წელს ბოსტონის მარათონის გაბითურება ცადა. როზიმ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და თან ბრწყინვალე შედეგიც აჩვენა. ასე სწრაფად აქამდე დისტანცია მხოლოდ 2 ქალს ჰქონდა დაფარული ისტორიაში. მარათონის ორგანიზატორები იმან დააეჭვა, რომ რუიზი თითქმის არ დაღლილა. როგორც შემდეგ გაირკვა, მორბენალმა სტარტის შემდეგ მალევე ხალხში გადაუხვია და გაუჩინარდა, შემდეგ კი ფინიშამდე დაახლოებით კილომეტრით ადრე ტრასას დაუბრუნდა და ყველას „აჯობა".

რა თქმა უნდა, როზის სპორტული კარიერა არ შედგა. ორ წელიწადში კი 60.000 დოლარის მოპარვისთვის დაიჭირეს, კიდევ წელიწად-ნახევარში კი კოკაინის გასაღებასთან დაკავშირებული სპეცოპერაციისას აიყვანეს. მოკლედ, ეს ქალი ისეთივე უნიჭო კრიმინალი აღმოჩნდა, როგორიც – სპორტსმენი...

ფიგურული სრიალი – ამ ერთი შეხედვით ყველაზე უწყინარი სპორტის საქმეებში თავად რუსული მაფია ჩაერია. 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე კანადელმა წყვილმა ჯეიმი სეილმა და დევიდ პელტიემ ბრწყინვალედ ისრიალეს და გამარჯვებაც ალალად ეკუთვნოდათ, თუმცა ზოგიერთმა მსაჯმა დაუმსახურებლად ცუდი შეფასება მისცა. დაწერილი ქულები იმდენად მცირე იყო, რომ ეჭვები გააჩინა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ფრანგმა და რუსმა მსაჯებმა მოილაპარაკეს, რომ ერთმანეთის სპორტსმენები „გაექაჩათ". ფიგურირებდა ცნობილი რუსი მაფიოზის გვარიც. კანადელებს, საბედნიეროდ, კუთვნილი ოქროს მედლები ჩაახუტეს.

მორალის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი საქციელი ესპანეთის შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა ფედერაციამ ჩაიდინა. მან 2000 წლის სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე გაუშვა კალათბურთის გუნდი, რომლის 12-დან 10 წევრიც სრულიად ჯანმრთელი გახლდათ. საქმე თავად ესპანელმა ჟურნალისტმა კარლოს რიბაგორდამ გამოააშკარავა, რომელმაც ჟურნალისტური გამოძიების წყალობით დაამტკიცა, რომ ფედერაციას სპორტსმენებისთვის აუცილებელი ტესტები არ ჩაუტარებია და სრულიად ჯანმრთელი ხალხი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების ნაკრებებთან სათამაშოდ გაამწესა.

ბუნებრივია, ესპანელებმა ოქროს მედლები მოიგეს, მაგრამ, ისიც ბუნებრივია, რომ შესაბამისი გამოძიების შემდეგ მედლები უკან დააბრუნებინეს. ფედერაციის პრეზიდენტი მარტინ ვისენტე თავიდან ბრალს უარყოფდა და ამბობდა, რომ მისმა უწყებამ თაღლითობის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა ბოლოს მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და გადადგა.

ასეთი ამბებია. სპორტში დიდი გმირებისა და ლეგენდების გვერდით ულირსიც მრავლად გვხვდება ხოლმე...

# ტრამალებიდან ევროპაში — ბაქო-2015



დასაწყისი მე-12 გვერდზე

სები, რომელთაც ამშვენებს წარწერა – ბაქო-2015. იმასაც გეტყვით, რომ ტაქსებიც და ავტობუსებიც ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ქალაქს დარჩება და მოემსახურება, ისევე როგორც ახლად შეძენილი მეტროს ვაგონები. ერთი შეხედვითაც ნათელია, თუ რამხელა თანხაა ჩადებული ევროპის თამაშების ჩასატარებლად, მაგრამ, ისიც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი, ქვეყნის იმიჯისა და პრესტიჟის გარდა, მოსახლეობაზეც არის გათვლილი.

ტაქსები და ავტობუსები ქალაქის მცხოვრებლებსა თუ მის სტუმრებს შემდეგაც უკვე სახელმწიფო დანიშნულების სახით მოემსახურება, განსხვავებით სახლებისა, სადაც ოლიმპიური სოფელი და მედიაცენტრია განთავსებული. ეს ლამაზი შენობები გაყიდვაში იქნება, მაგრამ – 2017 წლის შემდეგ, რადგან ბაქო აპირებს, მუსლიმანური ქვეყნების ჩემპიონატსაც უმასპინძლოს და უკვე აშენებული კორპუსების გამოყენებას ფიქრობს. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მოსახლეობას, საკმაოდ კომფორტული ბინები შეიძინოს.

ევროპის თამაშებისთვის სპეციალურად აშენდა ოლიმპიური სტადიონი, რომელიც 65.000 მაყურებელზეა გათვლილი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა და თანამედროვე დონეზე აღიჭურვა მანამდე აშენებული სპორტული არენები, ხოლო „კრისტალ ჰოლი", სადაც გასულ წელს აზერბაიჯანის დედაქალაქმა „ევროვიზიას" უმასპინძლა, ახლა სამ სპორტულად არენად იქცა და ერთდროულად რამდენიმე სახეობას მასპინძლობს.

არენები მართლაც მშვენიერია, მაგრამ განსაკუთრებით დიდებული იყო გახსნის ცერემონიალი. ბაქოს უამრავ უდიდეს სპორტულ ფორუმებზე ნამყოფი ხალხი სტუმრობს და, მათი თქმით, მსგავსი გახსნა აქამდე არსად ყოფილა. ეს უკვე ბაქოს გამარჯვებაა.

6.000-მდე სპორტსმენი და უამრავი დელეგაციის წევრი, ჟურნალისტი თუ ტურისტია ბაქოში. რამდენ ენაზეც ევროპაში საუბრობენ, ყველას შეგიძლიათ, ყური მოჰკრათ, თუმცა, გახსნაზევე გამოჩნდა, რომ ევროთამაშებზე ყველაზე დიდი სიმპათიებით თურქი და ქართველი სპორტსმენების მიმართ იქნებოდნენ განწყობილნი – ეს გუნდების გამოცხადების დროს მაყურებელთა ემოციას ეტყობოდა.

თურქეთის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გასაკვირი არ არის – აზერბაიჯანელი და თურქი ერები „ბიძაშვილობენ", საქართველო კი კეთილგანწყობილი მეზობელი ქვეყანაა. იქაურები საქართველოს გაგონებაზე მაშინვე გააბამენ სასიამოვნო მუსაიფს. როდესაც თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ შეიტყვეს, გვისამძიმრებდნენ, გვამხნევებდნენ და წარმატებას გვისურვებდნენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ადრე საქართველოში უცხოვრიათ – მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისში, რუსთავსა თუ თბილისში და კეთილად იხსენებენ იქ გატარებულ წლებს. ერთი უბრალო შეკითხვა – თუნდაც გზის სწავლებაზე და სანამ დანიშნულების ადგილზე არ მიგიყვანენ, გვერდიდან არ მოგშორდებიან. თუმცა, „იაღლიშებიც" მოსდით. ერთხელ „ჰეიდარ ალიევის არენა" მაინტერესებდა, ჩვენები ჭიდაობდნენ და, ჰეიდარ ალიევის არენისა და სასაფლაოს გარდა, ყველგან გამაგზავნეს – ცენტრში, სასახლეში, მუზეუმში, პარკში... 2 საათი დავაგვიანე ჭიდაობაზე.

აზერბაიჯანულ და ქართულ ენებშიც ბევრი საერთო აღმოჩნდა: ქუჩა (ქიუჩა), ოთახი (ოთაღი), ტალღა (დალღა), ჩანგალი (ჩანგალ), ჯარიმა (ჯარიმ), შარვალი (შალვარი), სუფრა (სუფრა)... ალბათ, კიდევ იქნება რამდენიმე მსგავსი სიტყვა, რომელსაც გზადაგზა შევიტყობთ...

სიტყვების მსგავსება სუფრით ტყუილად არ დაგვიმთავრებია – ქართველებისგან განსხვავებით, იქ არავინ მიგიპატიჟებს და ზარ-ზეიმს არ მოგიწყობს. ქართველებისგან განსხვავებით, ქუჩაში სიგარეტის ნამწვსა და ნაგავს არავინ ისვრის და ქალაქის ქუჩები იმდენად დასუფთავებულია, რომ მორიდების ნიშნად კილომეტრს გაივლი ნაგვის ურნის მოსაძებნად. ერთია, არ დაგჭირდება – ყოველ 10-15 მეტრში დგას.

ქართველი მძღოლებისგან განსხვავებით, იციან, რომ „ზებრაზე" ფეხით მიმავალი უნდა გაატარონ. საინტერესო ფაქტს წავაწყდი ჟურნალისტ ირაკლი თავაძესთან ერთად. „ტოფიკ ბახრამოვის" არენიდან, სადაც მშვილდოსანთა შეჯიბრება ჩატარდა, მედიაცენტრში სპეციალური ავტობუსით ვბრუნდებოდით, ფართო ქუჩაზე, ჩვენთვის განკუთვნილი ტრანსპორტისთვის ცალკე ზოლი იყო, რომელიც სხვა ზოლებს ყვითელი ხაზით გამოყოფდა. არც ერთ მძღოლს არ უფიქრია, ეს ხაზი გადაეკვეთა და უფრო ჩქარა წასულიყო, მით უფრო, რომ მის წინ რამდენიმეკილომეტრიანი ცარიელი სივრცე გაიშლებოდა. ამის შემხედვარე, მე და ირაკლიმ მწარედ ამოვიხვნეშეთ. კიდევ უფრო საოცარი ის იყო, რომ 50-კაციანი ავტობუსი მარტო ჩვენ გვემსახურებოდა, რადგან მშვილდოსნობაზე სხვა ჟურნალისტებს წასვლის სურვილი, ეტყობა, არ გასჩენიათ. ამის გამო არავის უფიქრია, მისთვის განკუთვნილი რეისი გაეცდინა. შემდეგ რამდენჯერმე დავაკვირდით და, ყოფილა შემთხვევები, ავტობუსი ცარიელი წასულა დანიშნულების ადგილზე – მძღოლმა თავისი მოვალეობა შეასრულა.

არ იფიქროთ, რომ მსგავსი ფაქტებით საქართველოს შეურაცხყოფას ვაყენებთ და აზერბაიჯანი ცაში აგვყავს, უბრალოდ, იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ბაქომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე გადაგვასწრო, მაშინ როდესაც მათზე წინ ათეულობით წლის წინ ვიყავით და მეტი პერსპექტივაც გვქონდა. მთავარი ის არის, რომ იქაურმა ხალხმა გაითავისა, თუ რა უნდა აკეთოს საკუთარი ქვეყნისთვის.

ამასთან, აქ საუბარი გვაქვს მხოლოდ ბაქოზე და არა მთლიანად აზერბაიჯანზე, სადაც, მეგაპოლისისგან განსხვავებით, სხვანაირი ცხოვრებაა და ხალხსაც არანაკლებ უჭირს, ვიდრე საქართველოში. ქვეყანას საერთო განვითარების პერსპექტივა აქვს, მაგრამ ხელისუფლების ყურადღება აშკარად ბაქოზეა გადატანილი. ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს, ხოლო მათ სამომავლო გეგმებსა და შიდა სამზარეულოში ჩვენ არავინ ჩაგვახედებს...

საქართველოს საზღვრიდან ბაქომდე მიმავალ 500-კილომეტრიან გზაზე იშვიათად თუ შეგხვდებათ დასახლებული პუნქტი. მატარებლისა თუ სამანქანო მაგისტრალების ირგვლივ ტრამალებია, რომლებიც სახნავ-სათესადაც კი არ გამოიყენება, ხოლო ბაქოს სიახლოვეს მთლიანად გადათეთრებული მიწაა. ეს მარილია, რომლის გადასამუშავებლადაც უკვე დაიწყეს ახალი ქარხნების აშენება.

და უცებ ოაზისი – ტრამალებიდან ევროპაში შედიხარ... ეს ბაქოა, რომელიც დროებით გემშვიდობებათ.

მომავალ შეხვედრამდე.

# ფეხბურთის ღმერთი — ბასტიან შვაინშტაიგერი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბით – მოგონება, რომელიც 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს უკავშირდება. როგორც მან განაცხადა, გასახდელში თანაგუნდელთა სახეები ისეთი სულისშემძვრელი იყო მისთვის, რომ ყველაზე დიდი მოტივაცია სწორედ ეს გახლდათ, ფეხზე მყარად დამდგარიყო – მირჩევნია, ავდგე, ვიდრე დაცემული დავრჩე. და სწორედ ამ მარცხის შემდეგ მიაღწია მან დიდების მწვერვალს. 29 წლის ასაკში პირველად საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა და ტრიპლეტი მოიგო. ამას კიდევ მსოფლიო ჩემპიონობა მოჰყვა და ტიტულებით დახუნძლული სეზონი მის კარიერაში ისტორიულ მოვლენად გადაიქცა.

– არასდროს დაკარგო საკუთარი თავის რწმენა – ეს სიტყვები ბასტიმ თავის მოტოციკლეტზე დაწერა. მისი ხასიათი და სიძლიერე სწორედ ამ სიტყვებში აისახება. მან განაცხადა, რომ არასდროს ნებდება. მისთვის წარმატება პირველ ადგილზეა და მიზნის მისაღწევად ყოველთვის მზადაა.

თქვენ ხედავთ, რომ ბასტი არის ნამდვილი მებრძოლი, ლიდერი და ლეგენდა. თუკი არსებობს სინონიმი სიტყვებისა ძალა და ამბიცია, ეს სწორედ ბასტიან შვაინშტაიგერია. ის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების სული და გულია. თუ პატივს არ სცემ მას, ე.ი. მთელ გუნდს უარყოფ!

მხოლოდ სტადიონზე არ ინარჩუნებს ბასტი კარგ რიტმს. მისი ტალანტი მუსიკაშიც აღინიშნება – დრამზე უკრავს. გარდა ამისა, უყვარს სალათი, ძროხის ხორცის ფილე და კაპუჩინო. კალათბურთის გარდა, ფილმებიც ხიბლავს.

– „ტროა" – მე მომწონს ბრედ პიტი, თუნდაც ფილმის ბოლოს კვდებოდეს, ასევე – ჰიტ ლეჯერიც. მისი „ჯოკერი" საოცარია. – აცხადებს შვაინშტაიგერი.

საინტერესო ფაქტი ისაა, რომ მისმა თანაგუნდელმა მარტინესმა თავის ძაღლს ბასტი დაარქვა. შვაინშტაიგერი ყველას უყვარს. ნაკლებად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მას პატივს არ სცემს.

ჰო, კიდევ ერთი, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ თამაშის დაწყებამდე ბასტის მუსიკის მოსმენა უყვარს. მუსიკა მის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. ამით ერთგვარ განტვირთვას აკეთებს, ხოლო სანამ ყურსასმენებს გაიკეთებს, მანამდე სველ წინდებს იდებს კისერზე. ეს წინდები მისთვის განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა. ამით თავს უკეთ გრძნობს. გმირები ამახსოვრდებათ, ლეგენდები არასდროს კვდებიან, „ფეხბურთის ღმერთის" სახელით კი ბასტიანი ისტორიაში ჩაიწერა. ისტორიას მომავალი თაობები შეისწავლიან და ასე გაგრძელდება საუკუნეების განმავლობაში – კოლბერმოორელი პატარა, ქერა, ცისფერთვალება ბიჭი, რომელიც ლეგენდად გადაიქცა, ყველას ეყვარება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ზაურ სვანაძე გუნდსა და ქართველებს აგროვებს

ბაქოს „ინტერი" ყველაზე ქართულ გუნდად ითვლებოდა აზერბაიჯანში მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე და იყო გუნდში ბლომად თანამემამულეც ჰყავდა. ცხადაძის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გუნდი მის თანაშემწე ზაურ სვანაძეს ჩააბარეს.

ახალმა მთავარმა რამდენიმე ქართველი თავადაც მიიწვია – გორის „დილიდან" – ნახევარმცველი ნიკა კვეკვესკირი და ბაქოს „აზალიდან" – ცენტრალური მცველი ლაშა კასრაძე.

*– მზადება როგორ მიმდინარეობს?*

– ვვარჯიშობთ და თანდათან გუნდს ვაკომპლექტებთ. სამუშაო ბევრია და არცთუ იოლი.

*– „ინტერმა" უკვე გიორგი ლომაია, იური ფომენკო და მირგუსეინ სეიდოვი დაიმატა. გუნდში კიდევ ვინ მიიწვიეთ?*

– კონტრაქტები ლაშა კასრაძესა და ნიკა კვეკვესკირს გავუფორმეთ. მათ გუნდი უნდა გააძლიერონ.

*– გუნდი თავიდან იკრიბება. სეზონის დასაწყისში როგორი სახე ექნება?*

– იმედია, რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად კარგად მოვემზადებით. რთული იქნება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ევროპის ლიგაზე ღირსეულად გამოვიდეთ.

*– გუნდში გასულ სეზონშიც მუშაობდით. შეიძლება ითქვას, რომ „ინტერი" ადრინდელივით ძლიერი არ იქნება?*



– რა თქმა უნდა. თავად ხედავთ, რომ ის გუნდი აღარ გვყავს, რომელიც პრემიერლიგის პრიზიორი გახდა. გუნდის შეკრება თავიდან გვიხდება. ადრინდელზე რამდენად სუსტი იქნება, დრო გვიჩვენებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ განსხვავება მაქსიმალურად მცირე იყოს. „ინტერის" გაძლიერება გვსურს.

*– თქვენი მხრიდან საკმაო გაბედული ნაბიჯი იყო, როდესაც გუნდს სათავეში არცთუ იოლ პერიოდში ჩაუდექით.*

– სირთულეებს რატომ უნდა გავექცე? ისინი ხომ გვაძლიერებს. ის ადამიანი ვარ, რომელიც სირთულეებს არ გაურბის. იმედია, „ინტერში" ძლიერ კოლექტივს ჩამოვაყალიბებ. ყველაფრის მიუხედავად, აზერბაიჯანის ჩემპიონატში კარგად გამოსვლა გვსურს.

*– მალე სტარტს ევროპალიგის საკვალიფიკაციო მატჩები აიღებს. ფეხბურთელების განწყობა, რომელთაც ორი თვეა ხელფასი არ აუღიათ, მძიმე არ იქნება?*

– რთულია. შევეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ პრობლემები არ შეგვექმნას. პროფესიონალები იმიტომ ვართ, რომ ფინანსური საკითხი თამაშის ხარისხზე არ აისახოს. პროფესიონალები მინდორზე ფულზე არ ფიქრობენ.

*– ფინანსური პრობლემების გამო გუნდმა საზღვარგარეთ შეკრებაზე გამგზავრებაზე უარი თქვა. მომზადებაზე ეს როგორ აისახება?*

– გუნდს თავიდან ვქმნით და ახლა შეკრებაზე გასამგზავრებლად ფეხბურთელები არ გვყავდა. ამჟამად 15 ფეხბურთელით ვვარჯიშობთ და ბაქოში მომზადება უფრო პროდუქტიულია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# უკრაინის პარლამენტმა უშიშროების შეფი გადააყენა

## ვინ შეცვლის ვალენტინ ნალივაიჩენკოს?

უკრაინის პარლამენტმა უშიშროების შეფი ვალენტინ ნალივაიჩენკო გადააყენა. ამას მხარი დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა. წინააღმდეგი იყვნენ რადიკალური პარტია და ოპოზიციური ბლოკი.

–ნალივაიჩენკოს გადაყენებას წინ უძღოდა შეხვედრა პრეზიდენტთან, –იტყობინება რადიო „თავისუფლება".

**ის არ იყო ჩეკისტი**

ვალენტინ ნალივაიჩენკო 1966 წელს ზაპოროჟიეში, მუშის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან ჯარში გაიწვიეს. სამხედრო სამსახური ჩერნიგოვში, სამხედრო-სასწავლო ცენტრ „დესნაში" გაიარა. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა კიევის უნივერსიტეტში განაგრძო, მისი დამთავრების შემდეგ კი მასწავლებლად მუშაობდა.

როგორც ჩანს, სუკი ნალივაიჩენკოს ფხიზლად უთვალთვალებდა. მუშის ოჯახებიდან გამოსულებს ჩეკისტები ხალისით იბირებდნენ. 1990 წელს ნალივაიჩენკოს სუკში სამსახურს სთავაზობდნენ. საბჭოთა იმპერია უკვე ირყეოდა. უკრაინაში კი ეროვნული მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა. ნალივაიჩენკომაც შემოთავაზებაზე უარი განაცხადა. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა იმპერია დაინგრა. უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

–ჩემთვის ეს ყველაზე ბედნიერი დღეები იყო,–ამბობდა შემდგომში ნალივაიჩენკო.

უშიშროებაში სამსახური მან უკვე დამოუკიდებელი უკრაინის უშიშროების სამსახურში დაიწყო. მაშინ იქ ბევრი ყოფილი კადრი შემორჩა. ნალივაიჩენკო მათ შორის თავს უცხოდ გრძნობდა.

–ის თავისი არსით ჩეკისტი არ იყო. მაშინდელი უშიშროება კი ჩეკისტური სტრუქტურა გახლდათ.–აცხადებს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ირინა გერაშჩენკო.

მალე ნალივაიჩენკომ უშიშროების რიგები დატოვა.

**დამოუკიდებელი ფიგურა**

ნალივაიჩენკო დიპლომატიურ სამუშაოზე გადადის. ის იყო უკრაინის ელჩი ბელორუსში, კონსული აშშ-ში და ა.შ. ყველგან თავი გამოიჩინა, როგორც პატიოსანმა, პატრიოტმა პროფესიონალმა. პრეზიდენტ იუშჩენკოს დროს ნალივაიჩენკო უშიშროებაში ბრუნდება. ის იყო უშიშროების უფროს დრიუჩანის პირველი მოადგილე, შემდეგ – უშიშროების უფროსი. ნალივაიჩენკოს წვლილი უდიდესია იმაში, რომ ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანად მოხდა. ახალმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მას ეს არ დაუფასა. ნალივაიჩენკო თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ისიც ოპოზიციაში გადადის, ხდება ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარის" წევრი. მალე ნალივაიჩენკოს პარლამენტში ირჩევენ,



როგორც დეპუტატს. ის უაღრესი აქტიურობით გამოირჩევა.

–ნალივაიჩენკო გამოიკვეთა, როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, რომელსაც გააჩნდა საკუთარი პრინციპები, საკუთარი ხედვა.–იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ევრორევოლუციის დროს გამოიკვეთა ნალივაიჩენკოს კიდევ ერთი თვისება: სიმამაცე. ის პირველ რიგებში იბრძოდა. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კვლავ უშიშროების უფროსი ხდება.

–ნალივაიჩენკო არც ტურჩინოვ-იაცენიუკის, არც პოროშენკოს დაჯგუფებების წევრი არ იყო. მისი დანიშვნა ერთგვარად მაიდანმა განაპირობა. რევოლუციის გმირი უშიშროების შეფი გახდა.–წერს უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო.

დამოუკიდებელი ფიგურა უშიშროების შეფის თანამდებობაზე არავის სჭირდება. ნალივაიჩენკო არც წარსულით, არც აწმყოთი პოროშენკოზე დამოკიდებული არ იყო. მისი ყოფნაც უშიშროების შეფის პოსტზე არ შეიძლებოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო.

**კონფლიქტი პოროშენკოსთან**

დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ნალივაიჩენკომ უშიშროების შეფის პოსტზე შეცდომები დაუშვა. შესაძლოა, ეს ასეც არის, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნალივაიჩენკომ პარალიზებული, დაშლილი სამსახური ჩაიბარა და მისი ამუშავება მოახერხა. უკრაინის უშიშროებამ შეძლო როგორც რიგი ტერორისტული ორგანიზაციის განადგურება (ხარკოვი), ასევე გრუ-ს რამდენიმე რეზიდენტის გამოვლენაც. პოროშენკოს უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ნალივაიჩენკო მისი გარემოს წევრებს არ ერიდებოდა. პიკი პოროშენკოსთან დაახლოებულ პირ დანილენკოსთან კონფლიქტი იყო. ნალივაიჩენკომ მას საჯაროდ დასდო ბრალად იმ ნავთობბაზის მფლობელობა, სადაც ცოტა ხნის წინ ხანძარი გაჩნდა. ამას არ შეიძლებოდა, სათანადო რეაგირება არ მოჰყოლოდა.

–როცა უშიშროების შეფი მმართველი გუნდის წამყვან ფიგურებს ამხელს, ეს ძალიან საშიში თამაშია! ამ დროს, ოპოზიციის გარდა, ვერავინ იგებს. – წერს უკრაინელი ექსპერტი ნაბოჟენკო.

პრეზიდენტი პოროშენკოც უშიშროების შეფის გადაყენების იდეით გამოვიდა.

**მე სამშობლოს ჯარისკაცი ვარ!**

უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, უშიშროების შეფის გადაყენება მხოლოდ პარლამენტს შეუძლია. პორიშენკოს ამ მხრივ პრობლემები ჰქონდა. ნალივაიჩენკო ხომ ორგანიზაცია „უდარის" წევრი იყო, რომელიც პოროშენკოს ბლოკთან ერთად მმართველ კოალიციას ქმნიდა. „უდარის" ლიდერი ვიტალი კლიჩკო აცხადებდა, არავითარ შემთხვევაში ნალივაიჩენკოს გადაყენებას მხარს არ დავუჭერთო. ამრიგად, პოროშენკოს აუცილებელი ხმები არ ჰქონდა. მეტიც, წარმოიქმნა მმართველი უმრავლესობის გახლეჩის საფრთხე.

–რუსეთთან კარს მომდგარი ომის წინ მმართველი უმრავლესობის გახლეჩის საფრთხე ქვეყანას მართლაც კატასტროფას უქადდა.–წერს ფისენკო.

ნალივაიჩენკომ უდიდესი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და პრეზიდენტს განუცხადა, რომ უპრობლემოდ გადადგება. პოროშენკომ შესთავაზა, დაზვერვის შეფის პოსტი დაეკავებინა. ნალივაიჩენკომ ამაზე მიუგო:

–მე ოპოზიციაში გადავდივარ, ამიტომ ამ პოსტს ვერ დავიკავებ! სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ ჩემი სამშობლოს ჯარისკაცად დავრჩები!

ამის შემდეგ ნალივაიჩენკო „უდარის" წარმომადგენლებს შეხვდა და დაიყოლია ისინი, რათა მისი გადადგომისათვის მხარი დაეჭირათ. ამან ყველაფერი გადაწყვიტა. უშიშროების შეფის გადაყენება ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოხდა. მას პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა და ეს თავად ნალივაიჩენკოს დამსახურებაა.

ვინ გახდება უშიშროების ახალი შეფი?

უკრაინის პარლამენტის დეპუტატ ოლეგ ლიაშკოს ცნობით, ნალივაიჩენკოს მისი პირველი მოადგილე ვასილი გრიცაკი შეცვლის. ის 1967 წელს როვენშჩინაზე დაიბადა. უშიშროებაში წლების განმავლობაში მუშაობდა. იყო ჯერ ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების, შემდეგ კი კონტრდაზვერვის უფროსი. გრიცაკი კადრის ჩეკისტია, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია, ამიტომ პოროშენკოს მიმართ ბევრად ლოიალური იქნება, ვიდრე ნალივაიჩენკო.

–უშიშროების შეფის გადაყენება იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ საკუთარი სახელისუფლებო ვერტიკალის აგება დაიწყო. – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

**ნიკა თევზაძე**

## განცხადებები

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1.კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლის, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაცია უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## ვლადიმერ პუტინი: „უკრაინის დეცენტრალიზაცია აუცილებელია!"



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო ფორუმზე განაცხადა, რომ უკრაინაში არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში დამნაშავეა არა რუსეთი, არამედ აშშ, რადგან მან მხარი დაუჭირა ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებას, რომელიც დღესაც აიარაღებს ყველაზე რეაქციულ და შავბნელ ელემენტებს უკრაინაში.

– ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა თავიანთი ქმედებებით შექმნეს ის მდგომარეობა, რომელიც დღეისათვის უკრაინაში არსებობს.–თქვა პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა უარყო ბრალდება იმის თაობაზე, რომ აიარაღებს სეპარატისტებს, აგზავნის უკრაინაში ჯარს და ა.შ.

– არც ერთი რუსი ჯარისკაცი უკრაინაში არ იმყოფება.–თქვა პუტინმა და დაუმატა, რომ მინსკის ხელშეკრულებები აუცილებლად უნდა შესრულდეს, კერძოდ, მოხდეს დეცენტრალიზაცია, მიღებულ იქნეს კანონი რიგი ტერიტორიების განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები და ა.შ.

–სხვაგვარად უკრაინაში მშვიდობა ვერ დამყარდება.–თქვა პუტინმა.

## აშშ-ში ათი კაცის მკვლელი დააკავეს

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააკავა ახალგაზრდა, რომელმაც ჩარლსტონის ეკლესიაში სროლა ატეხა და ათი კაცი მოკლა. დამნაშავე ოცი წლის ვინმე დილონ რუფი აღმოჩნდა.

–ის წყნარი ბიჭი იყო, თუმცა მეგობრები არ ჰყავდა.–იტყობინება „დოიჩე ველე". ახლა მკვლელს სასამართლო მოელის.



## კვალიფიციური იურიდიული მომსახურება

თქვენი უფლებების დაცვა სასამართლოში, ფიზიკურ პირებთან და ნებისმიერ სხვა სისტემაში: იპოთეკასთან, უძრავ-მოძრავ ქონებასთან, მემკვიდრეობასთან, განქორწინებასთან. ალიმენტთან, სესხთან, დაუკანონებელ ქონებასთან (სახლი, მიწა) დაკავშირებული პრობლემები და დავები. ასევე ერთჯერადი დახმარება: განცხადების, საჩივრის, სარჩელის, შესაგებელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის მომზადება. ნებისმიერი სახისა და სირთულის ხელშეკრულებების გაფორმება. ასევე ვემსახურებით იურიდიულ პირებს. ტელ: 558-23-14-62.

## ზურაბ აბაშიძე: „სასამართლოს პროკურატურის უზურპაციის ქვეშ ყოფნა დასრულდა"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***– ბატონო ზურაბ, ბრალდება უფრო სერიოზული იყო, ალასანია ნაციონალების რიგში ჩადგაო. ამაზე როგორია თქვენი პოზიცია?***

– დიახ, ეს თქვა, მაგრამ ვინ ვის რიგებში იდგა და დგას, ყველას კარგად ახსოვს და იცის. მეთოდები ერთი ერთში ჰგავს, როგორ გაიმყარა ხელისუფლება, ნახეთ. ვინ დგას მათ რიცხვში და ვინ როგორ მოქმედებს, ეს ხომ ცხადზე ცხადია. ამ ყველაფერს კარგად ხედავს საზოგადოება და თავის დროზე გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვით იმაზე მეტს, ვიდრე ვთქვით, ჩვენ გვაქვს არგუმენტები და ამ არგუმენტების დადებით ვაპირებთ ყველა მიმართულებით გამარჯვებას. ყველა ჩვენი განცხადებისა და სიტყვის უკან პასუხისმგებლობა დგას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდილობს რაღაცებს, ეს არ გამოვა.

***– ალასანია ყალბია...***

– თუ ალასანია ყალბია და ცრუობს, მაშინ ჩვენც ყველანი ყალბი ვართ და ცრუობთ. ჩვენ დარწმუნებულები ვართ ამ ადამიანების უდანაშაულობაში და რას ვიტყუებით, ვერ გავიგე. ეს არის დასადგენი. ვამბობთ სიმართლეს, კოალიცია სწორედ ასეთი ხედვების გამო დაიშალა. კოალიციის დაშლის მთავარი მოტივაცია ივანიშვილის სწორედ ეს დამოკიდებულება იყო. ეს ძალიან სამწუხაროა, არასდროს მიხაროდა კოალიციის დაშლა, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ არ ვარ ამ კოალიციის წევრი.

***– ბატონო ზურაბ, კოალიციის ნაწილი რომ არ ხართ, ამის გამო ხართ ბედნიერი?***

– დიახ, ასეა, ყველანი ბედნიერი ვართ, უსამართლობის მონაწილეები რომ არ ვართ. კოალიციის გარკვეული წევრების შუამდგომლობები არსებობდა ამ ადამიანების თავდებობასთან დაკავშირებით, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ, მაგრამ დღეს ჩვენ ვითხოვთ, რომ ამ ადამიანებმა თავიანთი პოზიციები ამ საქმესთან დაკავშირებით დააფიქსირონ, თქვან, რასთან გვქონდა საქმე, რა მოხდა რეალურად. ეს [illegible]

***– ელოდებით კოალიციის წევრებისგან შეფასებებს?***

– რასაკვირველია, ველოდებით. ეს ადამიანები აცხადებდნენ, რომ როდესაც ყველაფერი გაირკვეოდა, ისინი გამოვიდოდნენ და ამ ყველაფერს შეაფასებდნენ. ამ საქმემ განაპირობა რეალურად კოალიციის დაშლა. ეს სერიოზული საფუძველი უნდა იყოს, რათა შეფასებები გააკეთონ ამ ადამიანებმა.

***– ბატონო ზურაბ, დეპუტატებმა თავიანთი შუამდგომლობები ხომ არ გაიტანეს? მაგალითად, თინა ხიდაშელმა თქვა, რომ მისი ხელმოწერაც არის შუამდგომლობებს შორის.***

– არა, არ გაუწვევიათ. ქალბატონი თინა მოხსენიებული იყო შუამდგომლებს შორის, მაგრამ უშუალოდ ვინც სასამართლო სხდომაზე ვიყავით, იმ დეპუტატების შუამდგომლობით მოხდა ამ [illegible]

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-[illegible] ანონიმურობა და შედეგი 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 22 ივნისი

08.00, 12.30, 17.00, 21.00 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 22.30 "არენა" 00.00 მხ/ფ **"ელისაბედი"** (ისტ.დრამა რეჟ: შ. კაპური/კ. ბლანშეტი) 02.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე"

08.00 დ/ფ "დარიუს მიუ და მისი მუსიკა" 09.00 მხ/ფ **"ყინულის კაცი** 10.40 დ/ფ "რომი" 11.10 მხ/ფ **"ბიჭები** (ს.უიველი) 12.30 დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" 13.00 "აფხაზეთი" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 8 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 მხ/ფ **"მეფის სახელით 2"** (ლ. მუნრო) 00.00 მხ/ფ **"ცეცხლით და მახვილით"** (მ.ზებროვსკი) 03.20 მხ/ფ **"ლოკაუტი"**

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 X-ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი -ღირსი დედა მარიამ ეგვიპტელი 06.45 ქართული ალბომი "შენს მიწას მიმაბარეო-- დიმიტრი ყიფიანი" 07.10 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** X 07.45 თვენი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ნერგები"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.35 ბავშვები მუზეუმში 3 15.50 სპექტაკლი **"ჩემი პატარა ქალაქი"** 17.05 დეკორატიული ფლორა-"თეთრყვავილა" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"ხსოვნა"** I სერ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი 21.35 ღვთის სახლი 21.50 ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ.ორბელიანი" 22.25 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"- აბაშა 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 22.50 მუს.პაუზა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დოკ.ფილმი 00.25 სათავეებთან-"ქართული ასომთავრული" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

## სამშაბათი 23 ივნისი

08.00, 12.30, 17.00 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 მხ/ფ **"მთვარე პარადორის თავზე"** 23.20 მხ/ფ **"ელისაბედი ოქროს ხანა"** (კ.ბლანშეტი) 01.20 დ/ფ "ალის პირისპირ"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ტვინი სარკეში" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 9 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ერთი ერთში 00.00 მხ/ფ **"წითელი ნათება"** (რ. დე ნირო) 02.10 მხ/ფ **"მეფის სახელით 2"** (ლ. მუნრო) 03.55 მხ/ფ **"ცეცხლით და მახვილით"** (მ. ზებროვსკი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.20 სპექტაკლი **"ჩემი პატარა ქალაქი"** 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-აბაშა 11.00 თაობა ზეტი 4 11.30 ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ.ორბელიანი" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ **"ხსოვნა"** I სერ 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ზღვარზე (ნარკომანია) გად. 1 16.15 სათავეებთან-"ქართული ასომთავრული" 17.00 მგზავრები წუთისოფლისა 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თვენი 19.50 მუს.პაუზა 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დოკ. ფილ. 00.30 "ერთსულოვნების სალონი" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 გადაცემა "IZOS-ანალიზი" 22.50 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

## ოთხშაბათი 24 ივნისი

08.00, 12.30, 17.00, 21.00 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 21.30 მხ/ფ **"ამაოების ბაზარი"** (რ.უიზერსპუნი) 00.00 მხ/ფ **"გამოცხადება"** 02.00 დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ"

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 18.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 10 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 მხ/ფ **"რა იქნებოდა"** (პ.ნიკოლსი) 01.55 მხ/ფ **"ჰანი დენიელსი"** (ჯ. ალბა) 03.25 მხ/ფ **"ბედს ვერ გაექცევი"** (ვ.ჰარილსონი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "ნანუკას შოუ" 23.55 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.10 დოკ. ფილმი "წმ. მეფე ვახტანგ გორგასალი" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 10.40 ბავშვები მუზეუმში 3 11.20 დოკ.ფილმი "მარხვისა და სინანულის შესახებ-მეუფე დანიელი" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 ზღვარზე (ნარკომანია) გადაცემა 2 16.50 კვირიაკე 17.45 საქართველოს სამართლის ისტორია 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ **"ხსოვნა"** II სერ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფილმი 00.30 დოკ. ფილ. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 0 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

## ხუთშაბათი 25 ივნისი

08.00, 12.30, 17.00 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 21.00 ტ/ფ **"დედმამიშვილები"** 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.40 "უცნობი მუსიკა" 01.10 მხ/ფ **"აიდლვაილდი"**

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ამფორების გზა – რომაელთა შემოსევის ისტორია" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 17.00 "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ **"საპარა"** (ლ. უილსონი) 02.20 მხ/ფ **"რა იქნებოდა"** (პ. ნიკოლსი) 03.55 მხ/ფ **"ჰანი დენიელსი"** (ჯ. ალბა)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ისტორიის გაკვეთილი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა-"თეთრყვავილა" 07.05 ქართული ალბომი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 "ერთსულოვნების სალონი" 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ხსოვნა"** II სერ 13.15 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ზღვარზე (ნარკომანია) გადაცემა 3 16.10 კონცერტი 16.55 სალვთისმეტყველო საუბრები 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" ნანა მიქაბერიძე 19.55 მოკ/ფ **"შიში"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 განათლება გამოგვარჩევს 22.25 კარაბადინი "ლეიკემია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ. ფილ. 00.30 დიდ ხარ შენ უფალო 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 1.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 გადაცემა "IZOS-ანალიზი" 22.50 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 0.00 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 1.30 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

## პარასკევი 26 ივნისი

08.00, 12.30, 17.00 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 21.00 ტ/ფ **"დედმამიშვილები"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 00.00 მხ/ფ **"ბორნის იდენტიფიკაცია"** (მ.დეიმონი) 02.00 მხ/ფ **"მშვენიერი არსებები"**

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, ქრონიკა 10.05 სერ. **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ **"მეფის სახელით 3"** (რ. პასკალევა) 01.55 მხ/ფ **"საპარა"** (ლ. უილსონი) 04.05 მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (ა.ბოლდუინი)

06.30, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 51 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ. ფილ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ.ფილ. 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 3 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ზღვარზე (ნარკომანია) გადაცემა 4 16.30 კონცერტი 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი) მყნობა 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ძველი აფიშა 20.00 თაობა ზეტი 5 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა " II 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ.ფილმი 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 1.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 "მონიტორი" 16.05, 17.05 **სერიალი "ნარჩიტა"** 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 27 ივნისი

08.00, 12.30, 16.30 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00, 20.30 "მოამბე" 21.30 მხ/ფ **"როდესაც პოლი გამოჩნდა"** (ბ.სტილერი) 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"ქალის სურნელი"** (ალ პაჩინო) 02.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები"

08.00, 10.10, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ჯონ სტუარტის ნახატები" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "ახალგაზრდული სული" 13.00 მხ/ფ **"გულის მოგზაურობა"** 14.30 დ/ფ "იორდანია" უდაბნოს სამეფო" 15.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 მხ/ფ **"აეროპორტი 77"** 22.00 ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** 23.00 მხ/ფ **"ნილაბი"**

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 იმედის გმირები 11.35 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-3"** 5 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"მელიებზე მონადირე"** (ვ. რედგრეივი) 01.45 მხ/ფ **"სექსი გაცვლით"** (მ. მური) 03.05 მხ/ფ **"მეფის სახელით 3"** (რ.პასკალევა) 04.35 მხ/ფ **"კარლიტოს გზა"** (შ.პენი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 მოგზაურობა გ.გაბუნიასთან 14.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 15.30 X-ფაქტორი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 52 (სეზ.7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ."

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.20 თბილისის ტაძრები "სიონი" 06.40 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" II 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი). გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ.ფილ. 10.50 კვირიაკე 11.00 ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ.ორბელიანი" 12.10 მოკ/ფ **"ალავერდობა"** 13.25 განათლება გამოგვარჩევს 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ.ფილმი 15.40 თაობა ზეტი 5 16.10 ზღვარზე (ნარკომანია) გადაცემა 5 16.40 კონცერტი 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ძალუა(?)ცელაძისგან 11 18.10 სად უჩინარდებიან ჩემპიონები "თამაზ იმნაიშვილი" 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა-"თეთრყვავილა" 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სალვთისმეტყველო საუბრები "მარიამ დიდებულიძე-ხატწერა" 00.05 დროის ჩანაწერები 00.35 სიახლენი 01.45 მხ/ფ **"მიხეილ და ზღვა"**

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 1.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.30 "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "ნარჩიტა"** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00, 20.05 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 მხ/ფ **"მთამსვლელი"** 1.00 **სერიალი "რვაფეხა"**

## კვირა 28 ივნისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.25, 12.30 პირველი ევროპული თამაშები **"ბაქო – 2015"** 12.00, 16.00 "მოამბე" 16.30 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 მხ/ფ **"ორი ძმა"** 19.30 "ტელებლოგი" 20.00 პირველი ევროპული თამაშები "ბაქო – 2015" დახურვის ცერემონიალი 22.30 ქართ მხ/ფ **"ბედურების გადაფრენა"** 23.30 კონცერტი: ნინო მაჩაიძე 01.00 მხ/ფ **"დიდი ლებოვსკი"** (ჯ.მური)

08.00 დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" 09.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 მხ/ფ **"ძიძა მაკფი"** 11.30 დ/ფ "ბავარია" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები 17.00 "აფხაზეთი" 18.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები 22.00 ტ/სერ. **"ანგელოზის სახე"** 23.00 "ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30 მხ/ფ **"ბოლეინის კიდევ ერთი ასული"** (ნ.პორტმანი)

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა" 31"** 09.00 ერთხელ საქართველოში 09.30 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-3"** 5 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.30 ერთი ერთში 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"ბინძური თამაშები"** (ნ. ნოლტი) 01.40 მხ/ფ **"მეფის გვარდიელები"** (ე. რობერტსი) 03.20 მხ/ფ **"მელიებზე მონადირე"** (ვ. რედგრეივი) 05.30 მხ/ფ მხ/ფ **"სექსი გაცვლით"** (მ. მური)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ 10.30 სახლი 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 53 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.20 განათლება გამოგვარჩევს 06.40 კვირ. სიუჟ 06.50 სალვთისმეტყველო საუბრები "მარიამ დიდებულიძე-ხატწერა" 07.30 მულტ.ფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" II ნაწ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან"** XI 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მულტ.ფილმი ქართული 15.40 ზღვარზე (ნარკომანია) გადაცემა 6 15.55 "ერთსულოვნების" სალონი 16.45 ეპოქის სახელები 17.40 ბავშვები მუზეუმში 3 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ **"ვედრება"** 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 საქართველოს სამართლის ისტორია 23.15 დოკ. ფილმი 00.30 "პორტრეტები" ნანა მიქაბერიძე 01.20 მხ/ფ **"ნისლების სანაპირო"**

მაესტრო 7.00, 11.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 8.30 **სერიალი "კარმა"** 10.30 "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 **სერიალი "ნარჩიტა"** 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00 **სერიალი "სახლი შროშანებით"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.00 **სერიალი "რვაფეხა"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოხალისეებისთვის უფასო სპექტაკლები გათამაშდება

მოხალისეებისთვის, რომლებიც თბილისის დალაგებაში აქტიურად იღებენ მონაწილეობას, უფასო სპექტაკლები გაიმართება. კინომსახიობთა თეატრი წარმოადგენს სპექტაკლ „ზვავს“, რომლის რეჟისორიც რუსუდან ბოლქვაძეა.

– გვინდა ჩვენი დიდი პატივისცემა დავუდასტუროთ ახალგაზრდებს, რომლებიც თავდაუზოგავად, დიდი სიყვარულით შრომობენ ეს დღეები ქალაქში. ვეპატიჟებით ყველას თუმანიშვილის თეატრში სპექტაკლ „ზვავზე“. ეს არის სპექტაკლი შიშზე და სიყვარულით მის დაძლევაზე, თქვენთვის უფასოდ, ძვირფასო მოხალისეებო! – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოხალისეებისთვის უფასო სპექტაკლს ითამაშებს რკინის თეატრიც. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ფერმა“, რომელიც დავით ანდღულაძემ ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის“ მიხედვით“ დადგა:

– რკინის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო, უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს და შაბათს, 20 ივნისს, მართავს საქველმოქმედო წარმოდგენას იმ გმირი მოხალისეებისათვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ქალაქისა და დაზარალებული ხალხის გადასარჩენად! წარმოდგენილი იქნება ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმის“ მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი „ფერმა“.

# „ერისიონმა“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმა“ ახალციხეში, ახალციხის თეატრში, საქველმოქმედო კონცერტი გამართა. იუბილარმა კოლექტივმა არ გააუქმა დაგეგმილი ღონისძიება და შეცვლილი პროგრამით წარდგა მაყურებლის წინაშე. საღამო წუთიერი დუმილით დაიწყო და საეკლესიო საგალობლით დასრულდა.

ანსამბლის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტები ქვეყნის ყველა რეგიონში იმართება. ეს კონცერტი, ანსამბლის ინიციატივით, საქველმოქმედო იყო და კონცერტიდან შემოსული თანხა სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მოხმარდება. „ერისიონის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ანსამბლის შემდეგი კონცერტიც საქველმოქმედო იქნება.

ეკა ირემაშვილი

# ჭიათურის თეატრი საქველმოქმედო სპექტაკლს ითამაშებს

ეკა ირემაშვილი

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი უერთდება საყოველთაო მობილიზებას სტიქიით დაზარალებულთა დახმარების საქმეში და 25 ივნისს საქველმოქმედო სპექტაკლს ითამაშებს:

– ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის თითოეული წარმომადგენელი თანაუგრძნობს ტრაგიკულად დაღუპულთა ოჯახებს. დაზარალებულთა დასახმარებლად 25 ივნისს გავმართავთ საქველმოქმედო წარმოდგენას – მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებ „მუსუსს“. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება საქველმოქმედო ფონდში. კახა გოგიძის მიერ განხორციელებულმა დადგმამ ივნისის დასაწყისში მთავარი პრიზი მოიპოვა ფესტივალში „თეატრალური იმერეთი 2015“. წარმატების შემდეგ დასი აღნიშნულ სპექტაკლს მშობლიურ თეატრში პირველად ითამაშებს. ველოდებით ერთგულ მაყურებელს, რომელიც მზად არის, თანადგომა გამოუცხადოს სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს. – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ბექა გოჩიაშვილი სტიქიით დაზარალებულებს საკონცერტო ტურნეს მიუძღვნის



უცხოეთში მოღვაწე ქართველი ჯაზპიანისტი ბექა გოჩიაშვილი სოლიდარობას უცხადებს სტიქიით დაზარალებულებს და მთლიან საკონცერტო ტურს მათ უძღვნის:

– მუსიკალურ სოლიდარობას ვუცხადებ და ვუძღვნი მთლიან ტურს სტიქიით დაზარალებულ, დაღუპულ ხალხსა და ცხოველებს!

ბექა გოჩიაშვილის კონცერტები ევროპაში, კანადასა და სან-ფრანცისკოშია დაგეგმილი. ის რეპეტიციებს ლოს ანჯელესში სტენლი კლარკის ბენდთან ერთად გაივლის. აგვისტოში ბექა თბილისში ჩამოვა და სპეციალურად გამართავს კონცერტს, რომელიც მთლიანად სტიქიით დაზარალებულებს მიეძღვნება. თბილისში ჩამოსვლამდე კი მუსიკოსმა ზოოპარკის ყველაზე უწყინარ ბინადარს, თეთრ ლომ შუმბას მიუძღვნა კომპოზიცია, რომელსაც „პრინცი შუმბა“ უწოდა. სპეციალურად ამ კომპოზიციისთვის გაკეთებული კლიპი ინტერნეტში განთავსებიდან რამდენიმე საათში ათასობით ადამიანმა ნახა.

ეკა ირემაშვილი

# მესხეთის თეატრი ქველმოქმედებაში ერთვება

მესხეთის თეატრი თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას გამოეხმაურა და დაზარალებულების დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლის თამაში დაგეგმა. მესხეთის თეატრმა რეპერტუარში არსებული სპექტაკლებიდან არჩევანი რეჟისორ კახა გოგიძის სპექტაკლზე შეაჩერა. „იქ, სადაც ჩემი სახლია“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ქველმოქმედებისთვის გათამაშდება:

– ძვირფასო მეგობრებო! მესხეთის თეატრი წარმოადგენს საქველმოქმედო სპექტაკლს „იქ, სადაც ჩემი სახლია“. დამდგმელი რეჟისორია კახა გოგიძე. სპექტაკლის შემოსავალი მთლიანად გადაირიცხება თბილისში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა ფონდში. – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ეკა ირემაშვილი

# მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავი დაზარალებულებს დაეხმარა

ეკა ირემაშვილი

მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავი და კომპოზიტორი ტიგრან ჰამასიანი თბილისში პირველად ჩამოვიდა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი გამართა, რომელშიც ასევე მონაწილეობა მიიღო ერევნის სახელმწიფო კამერულმა გუნდმა. 10-ლარიანი ბილეთებიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხა სტიქიით დაზარალებულთა ფონდში. თავდაპირველად ამ ღონისძიებიდან შემოსული თანხის გადარიცხვა სტუდენტ-მუსიკოსთა საჭიროებებისთვის იგეგმებოდა, მაგრამ, დღევანდელი პრიორიტეტების გათვალისწინებით, დანიშნულება შეიცვალა.

საქველმოქმედო კონცერტი სახელწოდებით „სინათლე სინათლისთვის“ უნიკალური პროექტია, რომელიც ტიგრან ჰამასიანმა სპეციალურად შექმნა ფორტეპიანოსა და გუნდისთვის. გუნდის ხელმძღვანელი ჰარუთიუნ თოფიკიანია. საკონცერტო პროგრამაში გაერთიანდა მესროფ მაშტოცის, გრიგორ ნარეკაცის, კომიტასისა და სხვების მიერ დაწერილი V-XX საუკუნეების სომხური სასულიერო მუსიკა ახლებური ჯაზური ინტერპრეტაციით. პროექტი დაიწყო 24 მარტს ერევანში. მსოფლიო ტურნე მოიცავს 100-ზე მეტ სომხურ ეკლესიას 12 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, თურქეთში, ლიბანში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ. საქართველოში კონცერტები ჩატარდა სურბ ეჩმიაძინის სომხურ ეკლესიასა და კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ტიგრან ჰამასიანი 28 წლისაა. მისი ოჯახი 12 წელია, ლოს ანჯელესში ცხოვრობს. პიანისტი სამი წლიდან უკრავს ფორტეპიანოზე, 11 წლიდან კი მონაწილეობს საერთაშორისო ჯაზკონცერტებსა და ფესტივალებში. მონტროს ჯაზფესტივალის საფორტეპიანო კონკურსის მოგებამ მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. 18 წლის ასაკში მან პირველი ალბომი ჩაწერა და მას შემდეგ პიანისტის წარმატებული კარიერა გრძელდება. სექტემბერში ჯაზპიანისტი მსმენელს ახალ ალბომს წარუდგენს. გავლენიანმა გაზეთმა „გარდიანმა“ მას მსოფლიოს ყველაზე ვნებიანი ჯაზპიანისტი უწოდა. მის შესრულებაში შერწყმულია კლასიკური ჯაზი და სომხური ფოლკი, დაბსტეპი და თანამედროვე ელექტრონული მუსიკა.

# ასტროპროგნოზი



## 20 ივნისისთვის

**ვერძი** – კრიტიკული დღეა. დღეს ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ. **კურო** – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **ტყუპები** – იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებებს ნუ გასცემთ. **კირჩხიბი** – ფულს შოულობთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ლომი** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერ უსიამოვნებას ფილოსოფიურად მიუდგეთ. **ქალწული** – ფასეულობები საფუძვლიანად უნდა გადააფასოთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ნებისმიერი კომერციული აქტიურობა ფინანსური კრახით დასრულდება. არ გარისკოთ. მძიმე წუთებში ახლობლები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** – მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. შეცდომებისგან დაზღვეული არ ხართ. ნუ გადაიღლებით. საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ. **თხის რქა** – თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში პლანეტები ხელს გიშლიან. მნიშვნელოვანი საქმეები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მხოლოდ წვრილმანებით დაკავდით. **მერწყული** – განსაკუთრებით აგიმაღლდებათ შრომისნაყოფიერება. ყველაფერი გამოგდით. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **თევზები** – ნურაფერს დაგეგმავთ. დღეს დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ცოტა დაბნეული ხართ, თუმცა ეს დროებითია.

## 21 ივნისისთვის

**ვერძი** – პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცმა ტყუპებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – დამშვიდდით, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. არასაჭირო კონტაქტებისგან დღეს თავი შეიკავეთ. **ქალწული** – დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. შესაძლოა, წვრილმან საოჯახო პრობლემებს შეეჯახოთ ან ფინანსურ სიძნელეებს გადააწყდეთ. საყიდლებზე წასვლა ან სხვა კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** – დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **მერწყული** – საკმაოდ გაგიძლიერდებათ აურა, შინაგანი პოტენციალი. პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ. **თევზები** – დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერებების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 3. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 4. ნატურით გადასახადი მიწათსარგებლობისთვის ძველად; 5. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დაფარვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. გაზაფხულის თვე; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 20. საწვავი სითხე; 23. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. მინერალური წყალი იმერეთში; 26. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 15. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. იორდანიის დედაქალაქი; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. წითელი ფერის წმინდა, მაღალხარისხოვანი მაუდის ქსოვილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იმპერატივი; 2. „სუძუკი“; 3. ბოჭორმა; 4. ზურნა; 5. სახარება; 6. ფაცხა; 7. ვალონია; 9. ჯოყოლა; 13. მანგო; 17. ოქრო; 18. ირი.

**თარაზულად:** 1. ინგლისი; 3. ბაზაზი; 8. „სამაია“; 10. კურიოზი; 11. არაყი; 12. ტავერნა; 14. სტილბი; 15. გუანაკო; 16. „ბროლა“; 19. ჯაგერი; 20. ვიადუკი; 21. სულორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბორტი; 2. კოპრა; 3. ჭიანური; 4. ცემი; 5. რიწა; 6. არაქისი; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. „მირანგულა“; 14. გურჯი; 16. ქაირო; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. „მაზდა“; 25. ლიტვა; 26. „შინი“.

**თარაზულად:** 7. პირომეტრი; 8. სპრინტერი; 12. ხურმა; 13. სირია; 15. „ოტელო“; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

# სამგლოვიარო განცხადებები

იოსებ, შუქრი და დავით დგებუაძეები ოჯახებით იზიარებენ მერაბ დგებუაძის ოჯახის მწუხარებას დედის

**ალექსანდრა ოდიშარიას**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ბატონ ბესო ოდიშარიას მამიდის, ბატონ მერაბ დგებუაძეს დედის

**ალექსანდრა (შურა) ოდიშარია-დგებუაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


ეროვნული ბიბლიოთეკა

**20 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2399 | ევრო — 2.5232 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4683 | 100 რუსული რუბლი 4.0691 |

## ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის




## კალეიდოსკოპი



### პრინცი ჰარი ჩუმად დაინიშნა



პრინცი ჰარი თავის დიდი ხნის მეგობარ გოგონა კრესიდა ბონასზე დაინიშნა. დედოფალ ელისაბედ II-ის 30 წლის შვილიშვილი თითქმის ერთწლიანი განშორების შემდეგ ისევ დაუახლოვდა 26 წლის ბონასს და გოგონას ხელი სთხოვა.

ისინი თავიანთი ნიშნობის გახმაურებას არ აპირებენ, რათა პირადი ცხოვრება მოაგვარონ და ხელმეორედ შეეგუონ ერთმანეთს. ეს დაშორება დაეხმარა ჰარის, რათა მიმხვდარიყო, რომ კრესიდა მას იდეალურად შეეფერება.

ჰარიმ უკვე მიიღო დალოცვა ბებიისგან, თუმცა – არც ისე ადვილად, ვინაიდან დედოფალს არასოდეს მოსწონდა ბონასის საქმიანობა (გოგონამ მსახიობის კარიერა აირჩია).

### შვარცენეგერმა თავი ცვილის ფიგურად გაასაღა



ამერიკელმა კინომსახიობმა არნოლდ შვარცენეგერმა ჰოლივუდში, მადამ ტიუსოს მუზეუმში, თავი საკუთარ ცვილის ფიგურად გაასაღა. მან „ტერმინატორის“ გრიმი გაიკეთა, ხოლო როდესაც მასთან დამთვალიერებლები მიდიოდნენ სურათის გადასაღებად, მათთან საუბარს იწყებდა.

აღსანიშნავია, რომ ეს აქცია ფილმ „ტერმინატორი: გენეზისის“ მარკეტინგული კამპანიისა და საქველმოქმედო პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა. ფილმი გაქირავებაში 2 ივლისს გამოვა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, შემოწირულობის სანაცვლოდ, ქველმოქმედი საჩუქრად მიიღებს ტანსაცმელს, კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის ავტოგრაფით დამშვენებულს, ასევე ბილეთებს ახალი „ტერმინატორის“ საპრემიერო ჩვენებაზე დასასწრებად.

### ძაღლმა წინა თათებზე სირბილის რეკორდი დაამყარა



ძაღლმა, სახელად კონჟომ, რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ტუსტის ბინადარია, მოახერხა მსოფლიო რეკორდის დამყარება წინა თათებზე სწრაფად სირბილში. წინა თათებზე შემდგარმა ძაღლმა 5 მეტრი 2,39 წამში გაირბინა.

ადრინდელი მიღწევა ეკუთვნოდა შპიცს, სახელად ჯიფს, რომელმაც 5 მეტრის გავლას 7,76 წამი მოანდომა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ფეხბურთის ღმერთი – ბასტიან შვაინშტაიგერი



დიდებისთვის დაბადებული ბასტიან შვაინშტაიგერი იმავე საავადმყოფოში მოევლინა მსოფლიოს, რომელშიც – პაულ ბრაიტნერი. თუმცა ლიდერებად კი არ იბადებიან, არამედ ლიდერებად ყალიბდებიან. ასე მოხდა ბასტიანის შემთხვევაშიც. მოდას აყოლილი თავქარიანი ბიჭი ნამდვილ მოაზროვნედ და გუნდის წინამძღოლად ჩამოყალიბდა. ამისათვის კი მას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

2003 წლის 23 სექტემბერს მან პირველი გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში ვოლფსბურგის წინააღმდეგ და მას შემდეგ არ გაჩერებულა.

ბასტიანის კარიერასა და ტიტულებს რომ გადავხედოთ, არ გაგვიკვირდება, თუ რატომ დაარქვეს მას „ფეხბურთის ღმერთი. ეს დიდება მისთვის ადვილად მისაღწევი არ ყოფილა. ეს ყველაფერი თავდაუზოგავი შრომითა და წარმატების მიღწევის იმედით იყო განპირობებული.

ბასტიანის კარიერაში იყო ცუდი მომენტებიც, განსაკუთრე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ტრამალებიდან ევროპაში – ბაქო-2015

### ქალაქურ-ხალხური რეპორტაჟი



12 ივნისიდან ბაქო სპორტით ცხოვრობს. ვერ გეტყვით, მანამდე რა ხდებოდა, რადგან აზერბაიჯანის დედაქალაქს სწორედ 12-ში, ევროპის პირველი თამაშების გახსნის დღეს ვეწვიეთ და, ჩასვლის წუთიდან მოყოლებული, ყველგან იგრძნობა, რომ აქ ერთ-ერთი დიდი ფორუმი მიმდინარეობს..

ევროპის თამაშებისთვის სპეციალურად შეიძინეს ტაქსები და ავტობუ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



ამერიკაში გამდიდრებულ ემიგრანტს ჟურნალისტი ეკითხება:

– როგორ გახდით მილიონერი?

– მე და ჩემი ცოლი აქ რომ ჩამოვედით, ჯიბეში სულ 2 ცენტი გვედო. ამ ფულით ვიყიდეთ ერთი ვაშლი და გავყიდეთ 4 ცენტად. შემდეგ ამ 4 ცენტით ვიყიდეთ 2 ვაშლი და გავყიდეთ 8 ცენტად. ორ თვეში საწყალი დეიდა მოკვდა და მისგან მემკვიდრეობით 2 მილიონი დოლარი გვერგო.

●●●

ამერიკაში ჩასულ ჩინელს ეკითხებიან:

– მოგწონს ნიუ იორკი?

– ძალიან, სისუფთავეა, სიწყნარე და... ცოტა ხალხია...

●●●

მოკვდა ელვის პრესლი – ყველანი როკერებად იქცნენ.

მოკვდა მაიკლ ჯექსონი – ყველა აცეკვდა.

ელტონ ჯონს თხოვნით მივმართავ – გაუფრთხილდი ჯანმრთელობას!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ზურა ყიფშიძე მოსკოვში მიიწვიეს

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ზურა ყიფშიძე მოსკოვში მიიწვიეს. მიწვევა ქართველმა ხელოვანმა მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელ ნიკიტა მიხალკოვისგან მიიღო.

მოსკოვში საერთაშორისო კინოფესტივალი 37-ედ საზეიმოდ გაიხსნა. ქართველი მსახიობი კინოფესტივალის ჟიურის წევრია, რომელსაც წელს ცნობილი ირანელი რეჟისორი მოჰსენ მახმალბაფი ხელმძღვანელობს. ჟიურიში ასევე შედიან ურსულა მაიერი, სერგეი გარმაში და კიმ დო-ხო. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება როგორც საკონკურსო, ასევე არასაკონკურსო ფილმები. საუკეთესოებს ჟიური მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ნომინაციებში გამოავლენს.



მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი წმინდა გიორგის ქანდაკებაა, რომელიც, ღონისძიების დამფუძნებლების თქმით, გამარჯვების სიმბოლოა და ის სწორედ გამარჯვებულებს გადაეცემათ.

წლევანდელი კინოფესტივალი მოსკოვში 26 ივნისამდე გაგრძელდება.

ეკა ირემაშვილი

## თამთა გოდუაძემ ახალი კლიპი გადაიღო



საბერძნეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა თამთა გოდუაძემ ახალი კლიპი გადაიღო. „იქს ფაქტორის“ მენტორმა ვიდეორგოლი თა[illegible] ერთ-ერთ ბოლო ს[illegible]ღერაზე შექმნა. სიმღერის ავტორები მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორები არიან, რომლებსაც დაწერილი აქვთ ჰიტები ჯენიფერ ლოპესისთვის, ენრიკე იგლესიასისთვის, ბონ ჯოვისთვის, ბრიტნი სპირსისთვის, ნიკი მინაჟისთვის. თამთას ახალი კომპოზიციის შექმნაზე ორივე კომპოზიტორმა ერთად იმუშავა.

ინტერნეტში უკვე გავრცელდა კლიპის გადაღებების ამსახველი ვიდეო. ახალი სიმღერა თამთამ ორი დღის წინ ბერძნულ ვოისშიც შეასრულა, შედგა რადიოპრემიერაც ერთ-ერთ წამყვან ბერძნული რადიოში. ახალი ლირიკული კლიპის ოფიციალური პრემიერა საბერძნეთში 22 ივნისს არის დანიშნული. როდის ნახავს თამთას ვიდეორგოლს ქართველი მაყურებელი, ჯერჯერობით უცნობია.

ეკა ირემაშვილი


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**45 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**ტიტანის სამკურნალო სამაჯური**
**35 ლარი 60-ის ნაცვლად**



არეგულირებს არტერიულ წნევას, ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა და თავის ტკივილს, აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას, ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**45 ლარი 95-ის ნაცვლად**

MADE IN GERMANY



ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი; 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 6. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 7. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გიორგი ერისთავის პიესა; 17. ხორბლის ქართული ჯიში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. მსხლის ჯიში; 8. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. სან-რემოს კინოფესტივალის „გრან-პრის“ მფლობელი, თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 13. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 15. კინოთეატრი თბილისში; 16. წარსულის აღმნიშვნელი ზმნის დრო გრამატიკაში; 19. ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 20. ქერის პური; 21. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა